

# გიორგი ავალიანი

მოქალაქეთა ჩართულობა მართლმსაჯულების  
პროცესში. სასამართლო მეგობრის ინსტიტუტი.

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი  
თბილისი, 0165 საქართველო  
ივლისი, 2018/ 2019 სასწავლო წელი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

„ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გიორგიავალიანისმიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „მოქალაქეთა ჩართულობა მართლმსაჯულების პროცესში. სასამართლო მეგობრის ინსტიტუტი“ და ვაძლევთ რეკომენდაციას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიაში მისი განხილვის თაობაზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”

თარიღი \_\_\_\_\_

ხელმძღვანელი : კობა ბუაძე, ასოცირებული პროფესორი

\_\_\_\_\_

რეცენზენტი:

\_\_\_\_\_

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი:

\_\_\_\_\_

ავტორი: გიორგი ავალიანი

ნაშრომი: „მოქალაქეთა ჩართულობა მართლმსაჯულების პროცესში. სასამართლო მეგობრის ინსტიტუტი“.

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: სისხლის სამართალი

ინდივიდუალური პროცენტების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

# სარჩევი

ანოტაცია .....	5
შესავალი.....	7
<b>თავი 1. საზოგადოების ჩართულობის ფორმები სისხლის სამართლის პროცესში .....</b>	<b>10</b>
1.1. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა .....	11
1.2. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა .....	18
1.3. რიგითი მოქალაქის ვალდებულებები მართმსაჯულობის განხორციელებაში.....	25
<b>თავი 2. სასამართლოს მეგობარი.....</b>	<b>41</b>
2.1. სასამართლოს მეგობარი ქართულ სასამართლოში .....	42
2.2. სასამართლოს მეგობარი საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში .....	45
2.3. სასამართლოს მეგობარის დასკვნის სამართლებრივი სტატუსი .....	47
<b>თავი 3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.....</b>	<b>50</b>
3.1. ნაფიცი მსაჯული.....	57
3.2. ნაფიც მსაჯულთა უფლება-მოვალეობები .....	62
3.3. ნაფიც მსაჯულთა დადებითი და უარყოფითი მხარეები.....	63
<b>დასკვნა .....</b>	<b>68</b>
<b>გამოყენებული წყაროები.....</b>	<b>70</b>

## ანოტაცია

„სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი წარმოადგენს სიახლეს ქართულ სისხლის საპროცესო სამართალისათვის. „სასამართლოს მეგობრის“ — ინსტიტუტის მიზანია, რომ პირს ან სხვა ჯგუფს, რომელთა ინტერესების სფეროში შედის სასამართლოში განსახილველი საკითხი, მაგრამ ის არ არის რომელიმე მხარე, შეგეძლოს სასამართლოს თავისი არგუმენტების წარდგენა და პროცესში უშუალოდ ჩართვა. ამ ინსტიტუტის ამოცანაა დადებითი გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებას ხარისხის ამაღლებაზე, რადგან სასამართლო უფრო მეტ წყაროს ეყრდნობა.

თემის კვლევის საგანია მოქალაქეების ჩართულობა სასამართლო პროცესში, რომ „სასამართლოს მეგობარი“ შეიძლება იყოს ნებისმიერი კერძო პირი, სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, მეცნიერი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი და ა.შ.

მოცემული ნაშრომის ობიექტია „სასამართლოს მეგობრის“ სამართლებრივი სტატუსის განსაკუთრებულობა, როგორც პროცესის მონაწილის.

საკითხის განხილვისას მიღებული იყო კომპლექსური მიდგომა შესასწავლი პრობლემის განხილვისას. გამოყენებული იყო სამართლებრივი, შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, პრობლემურ-თეორიული, ფორმალური-ლოგიკური, სისტემური მეთოდი, ანალიზის და სინთეზის მეთოდი. სიახლს წარმოადგენს ის რომ „წერილობით მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს.

თემის აქტუალობა — ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის ბრძოლა.

## **Abstract**

The institution of “the friend of the court” is a new concept for Georgian criminal law. The aim of the institution is to give people or other groups who are interested in the case of the trial but do not belong to either side the chance to present their arguments in court and participate in the trial process. The aim of this institution is to make a positive impact on the verdict of the court in order to improve its quality.

The topic of the research is to involve citizens in the trial process in order to show that any individual, field specialist, scientist, representative of an NGO, etc. can become “the friend of the court”.

The paper focuses on the legal status of the “friend of the court” as a particular participant in the trial process.

While observing the issue, we have used a complex approach, as well as legal, comparative-legal, historic, problem-theoretical, formal-logical, systematic methods, methods of analysis and synthesis. The novelty of the research is that the aim of the written statement must be not supporting either side but helping the court.

The actuality of the paper is to protect human rights and freedoms, equality before the law and struggle against discrimination.

## შესავალი

თემის აქტუალობა: სამაგისტრო კვლევის თემას წარმოადგენს „მოქალაქეთა ჩართულობა მართლმსაჯულების პროცესში. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი.“ თემა ძალიან აქტუალურია. ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა საზოგადოების როლი მართლმსაჯულების განხორციელებასა და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თუმცა საკითხის აქტუალობა მით უფრო გაიზარდა, რაც 2009 წელს მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც ბევრ სხვა რადიკალურ ცვლილებებთან ერთად შემოგვთავაზა ისეთი ახალი ინსტიტუტები, როგორცაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და სასამართლო მეგობარი. აღნიშნული ინსტიტუტები ქართული საპროცესო სამართლისა და სასამართლო პრაქტიკისათვის სრულიად უცხო გახლავთ. აქამდე არსებული რეგულაციები სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის ფარგლებში მსგავსი ფორმით საზოგადოების აქტიურ ჩართულობას არ ითვალისწინებდა. დღეს არსებული სამართლებრივი ნორმების მიხედვით კი საზოგადოების წევრები, რიგითი მოქალაქეები არა უბრალოდ ერთვებიან მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, არამედ მათ საკმაოდ სერიოზული გადაწყვეტილებების მიღების პასუხისმგებლობასაც აკისრებს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ საკითხებთან მიმართებაში სასამართლო პრაქტიკა ძალიან მწირია, შეიძლება ითქვას საერთოდ არ არსებობს. რაც საკითხის თეორიულ ჭრილში განხილვის აქტუალობას არათუ აკნინებს, არამედ პირიქით. თემაზე მუშაობის ამოცანას სწორედ ამ თემების თეორიული კუთხით განხილვა და ანალიზი წარმოადგენს, რაც დიდ დახმარებას გაუწევს სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკას პრაქტიკას სწორად ჩამოყალიბებაში.

კვლევის საგანი და ობიექტი: ამდენად, კვლევის საგანსა და ობიექტს წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ფორმები. შევეხებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, განსაკუთრებული აქცენტი კი გაკეთდება სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტზე, რომელიც ერთგვარად დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ ექსპერტის როლსაც კი

თამაშობს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სისხლის სამართლის საქმეებზე, და რომლის მიზანიც სასამართლოსათვის დახმარების აღმოჩენა გახლავთ.

**კვლევის მეთოდები:** საკვლევი თემისაკმაოდ საინტერესოა, მაგრამ კვლევის პროცესი გარკვეულ სირთულეებს მოიცავს, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ სასამართლო პრაქტიკა თითქმის არ არსებობს, არ გვაქვს სტატისტიკა და კონკრეტული მაგალითები, რომლებზეც მსჯელობას და დეტალურ განხილვას შევძლებდით. ამიტომ მოგვიწევს არსებული სამართლებრივი ნორმების ანალიზი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოკვეთა შედარებითსამართლებრივი ანალიზის საფუძველზე. შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდი მოგვცემს საშუალებას ვნახოთ როგორ რეგულირდება აღნიშნული საკითხი ზოგიერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, რამდენად ეფექტურად გამოიყენება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში და რამდენად აქტიურად მონაწილეობს საზოგადოება, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორია სასამართლო მეგობრის სტატუსი და უფლებამოსილება სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით. საინტერესო იქნება მოცემული საკითხების ისტორიული მიმოხილვაც და განვითარების ეტაპების ანალიზიც. ასევე, აუცილებელია გავარკვიოთ თავად საზოგადოების დამოკიდებულებაც ამ საკითხებთან დაკავშირებით რიგითი მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინტერვიუების გზით.

**თემის კვლევის მდგომარეობა:** როგორც უკვე აღვნიშნეთ სამაგისტრო კვლევის თემა მოცემული კომპლექსური სახით ქართულ სამართლებრივ მეცნიერულ ლიტერატურაში სამწუხაროდ დამუშავებული არ გახლავთ. თუმცა არსებობს ცალკეული მონოგრაფიები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე. მაგალითად, უზენასი სასამართლოს მიერ გამოცა საინტერესო წიგნი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო,“ უნდა აღვნიშნოს იური გაბისონიას სხვადასხვა სტატიები და მონოგრაფიები, რომლებშიც მეტად საინტერესოდ და სიღრმისეულადაა განხილული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. რაც შეეხება სასამართლოს მეგობარს, ამ საკითხის მეცნიერული დამუშავება კიდევ უფრო მწირია. მოვიპოვეთ სტატია „სასამართლო მეგობარი (AMICUS CURIAE) თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში“ (ავტორი: ი.



ჩხეიძე). გაცილებით ღრმაა ამ საკითხთა კვლევა უცხოურ მეცნიერულ ლიტერატურაში. გამომდინარე აქედან სამაგისტრო ნაშრომი ნამდვილად იქნება განსხვავებული სახის, რადგან ის გააერთიანებს და კომპლექსური სახით წარმოგვიდგენს მოქალაქეთა ჩართულობის ფორმებს სისხლის სამართალწარმოებაში.

**კვლევის მიზანი:** კვლევის მიზანს წარმოადგენს შეძლებისდაგვარად სიღრმისეულად მოვახდინოთ აღნიშნული თემების განხილვა, გამოვკვეთოთ არსებული საკანონმდებლო რეგულაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ვნახოთ რამდენად მიზანშეწონილია ნათუც მსაჯულთა სასამართლოსა და სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის არსებობა ქართული რეალობისათვის და საერთოდ, რამდენად მზადაა ქართული საზოგადოება იყოს ჩართული ამ პროცესებში ასეთი სახით.

სამწუხარო რეალობაა, რომ ახალი კოდექსი უკვე 3 წელია მოქმედებს, მაგრამ რიგითი მოქალაქეები ჯერ კიდევ არ არიან ბოლომდე ინფორმირებული მათი ამ უფლებების შესახებ. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტზე კი მათთვის ცნობილი საერთოდ არ არის. მართალია სასამართლოს მეგობრის სტატუსით პრაქტიკაში ისარგებლებს მაღალი ავტორიტეტის, იურისპრუდენციის სფეროში სათანადო გამოცდილების პირები ან ორგანიზაციები, მაგრამ საკითხის მხოლოდ ამ კუთხით გაგება არასწორია. სასამართლოს მეგობრის სტატუსით შეიძლება ისარგებლოს ნებისმიერმა მოქალაქემ, რომელსაც მიაჩნია რომ სასამართლოს დახმარებას აღმოუჩენს. ეს პირველ რიგში, მოქალაქეთა უფლებაა და სწორედ ასე უნდა იქნეს გაგებული ეს საკითხი. ამიტომ კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საზოგადოების ინფორმირებულობაც იქნება.

**კვლევის სავარაუდო შედეგი:** კვლევის შედეგად სისტემური სახით ჩამოყალიბდება საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შემოტანილი ის ფორმები, რომლებიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს იყვნენ აქტიურები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, არ შემოიფარგლონ მხოლოდ კრიტიკით და თავადაც აიღონ გარკვეული პასუხისმგებლობა სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დამკვიდრებასა და გამყარებაში. ბუნებრივია არსებობს გარკვეული ხარვეზები და კვლევის შედეგად სწორედ ამ ხარვეზების აღმოფხვრის

გზებს დავსახავთ. რაც მთავარია უნდა გავარკვიოთ ზოგადად მოქალაქეების სისხლის სამართლის პროცესში ჩართულობის მიზანშეწონილობის საკითხი.

## თავი 1. საზოგადოების ჩართულობის ფორმები სისხლის სამართლის პროცესში

საქართველოში პირველი ოქტომბრიდან ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ კოდექსში ყველაზე პოზიციური და მნიშვნელოვანი სიახლე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი წარმოადგენს.

აქამდე არსებული სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის ფარგლებში მსგავსი ფორმით საზოგადოების აქტიურ ჩართულობას არ ითვალისწინებდა, დღე არსებული სამართლებრივი ნორმების მიხედვით კი საზოგადოების წევრები, რიგითი მოქალაქეები არა უბრალოდ ერევიან მართმსაჯულების განხორციელების პროცესში, არამედ მათ საკმაოდ სერიოზული გადაწყვეტილებების მიღების პასუხისმგებლობასაც აკისრებს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

საზოგადოების ჩართულობის პროცესში არმხრივად სასარგებლო ეფექტი აქვს:

1. ერთი მხრივ, სწრაფი საზოგადოებრივი შეფასების მიღება გაზრდილ სამუშაო ჯგუფების პასუხისმგებლობის ცალკეულ საკითხებში. მუშაობისას და მისცემს მას შესაძლებლობას იცოდნენ საზოგადოების მოსაზრება ამ საკითხებზე.

2. მეორე მხრივ, გამჭირვალე პროცესი ხელს შეუწყობს საზოგადოების მიერ იმის აღქმას, რომ ახალი კოდექსი საზოგადოების თანამშრომლობის და დემოკრატიული პროცესის შედეგია.

ბევრ ქვეყანაში სასამართლო მეგობრის მართმსაჯულებასთან თანამშრომლობა საქმესთან დაკავშირებით მეტად ღირებული ინფორმაციის უზრუნველყოფაში გამოიხატება. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია სასამართლოს წინაშე სასამართლო მეგობრის რანგში წარსდგება პრესტიჟის ამალღებისა და ავტორიტეტის მოპოვების მიზნით.

55-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს მეგობრად ყოფნის უფლება საზოგადოებას საშუალებას აძლევს ითანამშრომლოს სასამართლოსთან, რამაც შეიძლება პოზიტიურად იმოქმედოს მართმსაჯულების ავტორიტეტზე.

## 1.1. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის

### ისტორიული მიმოხილვა

„Amicus Curiae“ ლათინური წარმომავლობისაა და „სასამართლოს მეგობარს“ ნიშნავს. მე-9 საუკუნიდან ტერმინი „სასამართლოს მეგობარი“ რომის სამართალში გვხვდება, შემდეგ დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობაც ეზიარა და ასე გავრცელდა იგი საერთო სამართლის სისტემაში. მოგვიანებით „Amicus Curiae“-მ საერთაშორისო სამართალში დაიმკვიდრა ადგილი.

ბევრ ქვეყანაში „სასამართლოს მეგობრის“ მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობა საქმესთან დაკავშირებით მეტად ღირებული ინფორმაციის უზრუნველყოფაში გამოიხატება. პრაქტიკამ ისიც აჩვენა, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია სასამართლოს წინაშე „სასამართლოს მეგობრის“ რანგში წარსდგება პრესტიჟის ამაღლებისა და ავტორიტეტის მოპოვების მიზნით.

55-ე მუხლით გათვალისწინებული „სასამართლოს მეგობრად“ ყოფნის უფლება საზოგადოებას საშუალებას აძლევს ითანამშრომლოს სასამართლოსთან, რამაც შეიძლება პოზიტიურად იმოქმედოს საბჭოური დროიდან მოყოლებული შელახული მართლმსაჯულების ავტორიტეტზე.

ჩვენს კანონმდებლობაში 55-ე მუხლი ის გამოვლინებაა, რომელიც თითოეულ ინდივიდს უბიძგებს ინტეგრირებული იქნას სახელმწიფოს საქმიანობაში. დაინტერესებული პირის ჩართულობა მართლმსაჯულების განხორციელებაში სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობის წინაპირობა იქნება.

ზოგადად, „სასამართლოს მეგობარი“ ეფექტურად ახდენს საჭირო პოზიციიდან აზრის დაფიქსირებას. ის წარმოადგენს დამატებით ინფორმაციის წყაროს და არ აწარმოებს რომელიმე კონკრეტული მხარის მხარდაჭერას. მაგალითად, „სასამართლოს მეგობარს“ არ შეუძლია წამოაყენოს ისეთი საკითხი, რომელიც არ ყოფილა წამოყენებული მხარეთა მიერ. „სასამართლოს მეგობრის“ შემთხვევაში მეგობარს შეუძლია წამოაყენოს ისეთი საკითხი, რომელიც არ ყოფილა წამოყენებული

მხარეთა მიერ. „სასამართლოს მეგობარის“ შემთხვევაში მეგობარს შეუძლია წარადგინოს თავისი მოსაზრება და დაიცვას ის.

ინდივიდები, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს წერილობითი მოსაზრებით, წარმოადგენენ გარკვეულ სფეროში კომპეტენტურ პროფესიონალებს. მათ შეიძლება წარადგინონ აკადემიური შეხედულება საქმესთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში კანონმდებლობის ისტორიის სიღრმისეული ცოდნა დაეხმარება, ისტორიკოსმა შეიძლება შეათვასოს საქმე ისტორიული კუთხით, გააკეთოს დასკვნა ან წარადგინოს დასკვნა ანალიზის სახით. ეკონომისტმა, სტატისტიკოსმა ან სოციოლოგმა შეიძლება გააკეთოს იგივე თავისი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით შესაბამის სფეროში.

„სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი ძირითადად დამახასიათებელია საერთო სამართლის ქვეყნებისათვის, სადაც მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას ხშირად ეყრდნობა პრაქტიკას. ამ შემთხვევაში საჭიროა რთული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხების სიღრმისეული შესწავლა და კომპეტენტურ პირთა მოსაზრების მოსმენა, ვინაიდან გადაწყვეტილება ქმნის პრეცედენტს, ანუ იმას, რაზეც მომავალში სასამართლო თავის გადაწყვეტილებებს აფუძნებს. „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი საერთო სამართლის ქვეყნებს შორის საუკეთესოაა განვითარებული ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამიტომ, სტატიაში წარმოდგენილ უცხო ქვეყნის პრაქტიკასაც აშშ-ს მაგალითზე განვიხილავთ.

კვლევებმა აჩვენეს, რომ „სასამართლოს მეგობრის“ წერილობით მოსაზრებას ხშირად დიდი გავლენა აქვს გადაწყვეტილებებზე შეცვალოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.<sup>1</sup>

ეს ინსტიტუტი ყველაზე ხშირად სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში გამოიყენება. მეგობრად შეიძლება მოგვევლინოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული ან ხელისუფლების წარმომადგენელი. „სასამართლოს მეგობრის“ წერილობითი მოსაზრება შეიძლება შეადგინოს ორგანიზაციამაც. ესენი ხშირად სწორედ ის ორგანიზაციები არიან, რომელთა ინტერესებზეც გარკვეულ წილად შეიძლება იმოქმედოს სასამართლო გადაწყვეტილებამ. რაც შეეხება ხელისუფლების

<sup>1</sup> ცისკაჟე მ., „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი, თბ., 2010 წ.

ორგანოების მონაწილეობას სასამართლოს მეგობრად, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს კანონით, მთავრობის ფედერალურ, საშტატო და ადგილობრივ წარმომადგენლობას უფლება აქვს წარადგინოს საკუთარი მოსაზრება სასამართლოსა თუ მონაწილე მხარეთა გებართვის გარეშე. ფიზიკურ პირებს ან ორგანიზაციებს კი შეუძლიათ თავიანთი აზრის დაფიქსირება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის აღების შემდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს კანონი „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრებას საჭიროდა მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ ის შეეხება საკითხს, რომელიც ჯერ კიდევ არ განუხილავთ მხარეებსა და სასამართლოს. მოსაზრება, რომელიც არ ემსახურება ამ მიზანს, ხელს უშლის მართლმსაჯულების აღსრულებას და არავის წარდგენა არ არის სასურველი. არც ერთი სასამართლო არ არის ვალდებული განიხილოს ან გაითვალისწინოს პირის რჩევა იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი მისი მოწვეულია.

მოსაზრების წარდგენის პროცესულურ ნაწილს განმარტავს ფედერალური კანონი სააპელაციო პროცედურების შესახებ — „სასამართლოს მეგობრის“ წერილობით მოსაზრება შეიძლება წარედგინოს სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საქმეში მონაწილე ყველა მხარის წერილობითი თანხმობა, ან სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილება, ან სასამართლოს მიმართვა პირისადმი წარსდგეს „სასამართლოს მეგობრად“ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა შტატის, ოლქის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფის მიერ საქმის გაცნობისას ნებართვა არ არის საჭირო). წერილობითი მოსაზრება შეიძლება თან დაერთოს შუამდგომლობას წერილობითი მოსაზრების დასაშვებობის შესახებ. შუამდგომლობა „სასამართლოს მეგობრად“ დასაშვებობაზე განმარტავს პირის მოტივაციასა და დაინტერესებას, ასევე იმას, თუ რატომ არის გამოსადეგი მისი წერილი კონკურენტული საქმის გადაწყვეტისათვის. „სასამართლოს მეგობრის“ შუამდგომლობა მოსაზრების ზეპირსიტყვიერად წარდგენის შესახებ დაკმაყოფილდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში“ (მუხლი 29).

„სასამართლოს მეგობარი“ მონაწილეობს საერთაშორისო სამართალში, ეს არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი და ამ საკითხზე არსებობს განსახილველი

პოზიციები. ნაწილი მიიჩნევს, რომ კერძო პირებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წერილობითი მოსაზრების წარდგენა საერთაშორისო ტრიბუნალში დაუშვებელია, რადგან მათი მონაწილეობით სახელმწიფოს როლი საქმეში მცირდება და არსებობს საშიშროება იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება დაკარგავს ავტორიტეტს და სამართალშემოქმედის სტატუსს. მეორე მხრით, მართლმსაჯულების განსახორციელებლად საჭიროა კერძო პირთა მოსაზრებების და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობაც საქმეში, რადგან მათი მოსმენა და მოსაზრებების გათვალისწინება სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაა და ამავე დროს, მიუხედავად შიდასახელმწიფოებრივ იურისდიქციაში ჩარევისა, სახელმწიფოები მაინც დარჩებიან საერთაშორისო სამართლის ეპიცენტრში. მათი ქმედებები განაპირობებს სამართალს დღეს და ისინი გვიკარნახებენ როგორი იქნება სამართალი ხვალ.

ძირითადად, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებით მინიჭებული უფლებამოსილებით საერთაშორისო ტრიბუნალები წყვეტენ, დაუშვან თუ არა კერძო პირების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები საქმეზე განსახილველად, მაგრამ მათ ასე მოქცევის შესაძლებლობას მხოლოდ ეს ნორმები არ აძლევთ. მართლმსაჯულების გამნახორციელებელი საერთაშორისო ორგანოები სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებით წყვეტენ სასამართლოს მეგობრის მონაწილეობის საკითხს დავებში, რითაც იტოვებენ დისკრეციულ უფლებამოსილებას — ხშირ შემთხვევაში ისინი საერთოდ კრძალავენ ამ ინსტიტუტის მონაწილეობას საქმეში, ხშირად კი სარგებლობენ ნაგულისხმევი ან კანონში პირდაპირ ჩამოყალიბებული უფლებით, დაუშვან ისეთი კერძო პირების და არასამთავრობო ორგანიზაციების წერილობითი მოსაზრების განხილვა.

საერთაშორისო დავის გადაწყვეტისას, „სასამართლოს მეგობრის“ მონაწილეობამ WTO Asbestos საქმეში აჩვენა „Amicus Curiae“ ინსტიტუტის ჩართულობა საერთაშორისო სამართალში დასაშვებია და დაიშვება მომავალშიც, სახელმწიფო თანხმობის შემთხვევაში.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების გადამწყვეტმა ორგანომ გადაწყვეტილება მიიღო დავების გადამწყვეტი ორგანოს კანონის მე-13 მუხლის

საფუძველზე, რომელიც ამბობს, რომ ამ ორგანოს აქვს დისკრეციული უფლება-მომიღება „სასამართლოს მეგობრად“ მონაწილეობის დასაშვებობაზე. მეგობრის ინსტიტუტის დასაშვებობის აზრამდე მივიდა ასევე ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ტრიბუნალიც საქმეზე United Parcel services America, inc. v. canada. ამ დასკვნის საფუძველი გახდა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაეროს კომისიის არბიტრაჟის კანონთა მე-15 მუხლი, რომელმაც დაამკვიდრა საერთაშორისო სამართალში „სასამართლოს მეგობრის“ მონაწილეობა. გადანყვეტილება გაამყარა ირან-შეერთებული შტატების საპრეტენზიო ტრიბუნალმაც. ამ ინსტიტუტის აღმარებით და დაშვებით.

რაც შეეხება საერთაშორისო სასამართლოსა და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, ეს უკანასკნელი, განსხვავებით პირველისაგან, აძლევს კერძო პირებს უფლებას დავის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, ზეპირად ან წერილობით ჩამოაყალიბონ წერილობითი მოსაზრება და წარუდგინონ სასამართლოს. გარდა ამისა, ისეთი ტრიბუნალები, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო<sup>2</sup>, ევროპის საბჭო, ამერიკის ადამიანის უფლებათა დამცველი სასამართლო არიან მაგალითი იმისა, რომ საერთაშორისო სასამართლოებმა დართეს უფლება კერძო პირებს შეითავსონ „სასამართლოს მეგობრის“ ფუნქცია.

„Amicus Curiae“ ინსტიტუტი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლში, რომლის 1 ნაწილის თანახმადაც: „დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით“.<sup>3</sup>

<sup>2</sup> <https://ru.scribd.com/document/235449107/მოსამართლეთა-პასუხისმგებლობის-სისტემის-ანალიზი>, მოძიებულია 01.06.2019

<sup>3</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2019, მუხლი 55



სხვადასხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალოგიურად დაინტერესებულ პირში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც ფიზიკური პირები, ასევე ორგანიზაციები, მაგალითად: იურისტთა ასოციაციები, გაერთიანებები და სხვა. გარდა ამისა, იმ პირებისა, რომლებიც განსახილველ საქმეში წარმოადგენენ მოსარჩელეს ან მოპასუხეს.<sup>4</sup>

წერილობითი მოსაზრების შინაარსთან დაკავშირებით იგი უნდა იყოს კონკრეტულ საქმესთან კავშირში. ჩვენი აზრით, ფიზიკურ პირებს საშუალება ექნებათ სასამართლოს მიაწოდონ დამატებითი ინფორმაცია, ფაქტები, ნებისმიერი სახის პროფესიული და პიროვნული მოსაზრებები სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. იურისტთა ასოციაციებისა და გაერთიანებების წერილობითი მოსაზრება უფრო სამართლებრივი შინაარსის იქნება. მაგალითად: წერილობითი მოსაზრება საქართველოს კონსტიტუციასთან იმ მუხლის შესაბამისობის შესახებ, რომლითაც მოსამართლე აპირებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სუბიექტის ქმედების დაკვალიფიცირებას.

წერილობითი მოსაზრება სასამართლოს წინაშე წარდგენილი უნდა იქნეს საქმის არსებით განხილვამდე 5 დღით ადრე.

ამავე კოდექსის 55-ე მუხლის II ნაწილის თანახმად: „წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე ნაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება არ არის შედგენილი ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, იგი მას არ განიხილავს“<sup>5</sup>.

სწორედ, 55-ე მუხლის II ნაწილი ცხადყოფს „სასამართლოს მეგობრის“ დანიშნულებას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, კერძოდ, დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი წერილობითი მოსაზრების მიზანია სასამართლოს დახმარება, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხები და არა პროცესის რომელიმე მონა-

<sup>4</sup>განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, 2018. [http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali\\_sisxlis\\_samartlis\\_saproseso\\_kodeqsi.pdf](http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali_sisxlis_samartlis_saproseso_kodeqsi.pdf), მოქმედებულა 18.02.2019

<sup>5</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2019, მუხლი 55, მე-2 ნაწ.

წილის მხარდაჭერა, ანუ წერილობითი მოსაზრება სამართლიანი და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება უნდა იყოს.

პირმა სასამართლოსთვის „სასამართლოს მეგობრის“ სტატუსით მიმართვისას უნდა დაიცვას შემდეგი მოთხოვნები, კერძოდ, 55-ე მუხლის III ნაწილი: „სასამართლო არ არის ვალდებული გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები“ — ამ მუხლის ამ ნაწილის შინაარსი ნათელია და დამატებით ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს<sup>6</sup>. დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ წერილობით მოსაზრებას სასამართლო საქმის განხილვის დროს გაითვალისწინებს თუ არა, ეს უკვე ამ უკანასკნელის პრეროგატივაა.

55-ე მუხლის IV ნაწილის შინაარსი ეხება წერილობით მოსაზრებას მოცულობასა და ეგზემპლარებს. წერილობითი მოსაზრება მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს, „იგი შედგენილი უნდა იქნას 3 ასლად, რომელთაგან 2 გადაეცემა მხარეებს, ხოლო 1 რჩება მოსამართლესთან“.<sup>7</sup>

შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ყველა ის მოთხოვნა, რომელთა დაყოფაც აუცილებელია სასამართლოს წინაშე წერილობითი მოსაზრების წარსადგენად, მაშასადამე, წერილობითი მოსაზრება:

- 1) შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა, რომელიც არ არის პროცესში მონაწილე მხარე;
- 2) წარდგენილი უნდა იქნას საქმის არსებით განხილვამდე 5 დღით ადრე;
- 3) დაკავშირებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმესთან;
- 4) არ უნდა გამოხატავდეს პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერას;
- 5) მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს და წარდგენილ უნდა იქნას 3 ასლად;
- 6) უნდა დაეხმაროს სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელმა „სასამართლოს მეგობართან“ თანამშრომლობის გზით შეძლოს კანონიერი, სწრაფი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა.

<sup>6</sup> იქვე, მუხლი 55, მე-3 ნაწ.

<sup>7</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2019, მუხლი 55, მე-3 ნაწ.

55-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, „სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირის განმარტების მისაცემად“; სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მოიხმოს „სასამართლოს მეგობარი“ საქმის განხილვაზე (არ არის საჭირო რომელიმე მხარის ან წერილობითი მოსაზრების წარმდგენის თანხმობა); ან მხარეთა და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობის შემდეგ სასამართლოს მეგობარი გამოიძახებული იქნას საქმის არსებით განხილვაზე დამატებითი შეკითხვის დასმის მიზნით“.<sup>8</sup>

ასევე სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის თანახმად, რომელიც მიღებულია საქართველოს პრეზიდენტის №591 ბრძანებულების შესაბამისად, „სახალხო დამცველს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით წარსდგეს სასამართლოს წინაშე „Amicus Curiae“-ს, ანუ სასამართლოს ამხანაგის როლში და მოახსენოს სასამართლოს საკუთარი პოზიცია განსახილველ საკითხთან მიმართებაში.

## 1.2. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავისი ფესვები სახელმწიფოების წარმოშობის ადრეულ ეტაპზე გააჩნია. იგი უძველესი ტრადიციების მქონე სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ფასდაუდებელი სამსახური გაუწია და დიდი როლი შეასრულა მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მართლმსაჯულების განვითარებასა და დემოკრატიის დამკვიდრებაში<sup>9</sup>.

საზოგადოება მართლმსაჯულების განხორციელებაში სხვადასხვა ფორმით უშუალოდ მონაიწილეობდა სხვადასხვა სახელმწიფოში. მიუხედავად ამისა, დღევანდელი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამშობლოდ მე-11 საუკუნის ინგლისს მიიჩნევენ, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უფლების აღიარება მოხდა 1215

<sup>8</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, 2018, 160 გვ.

<sup>9</sup> <http://www.library.court.ge/upload/29962012-09-26.pdf> მოძიებულია 18.05.2019

წელს, როდესაც მეფემ საყოველთაო სახალხო მოთხოვნის ზეგავლენით ხელი მოაწერა მაგნა კარტას — დოკუმენტს, რომელიც აღიარებდა ყველა ადამიანის უფლებას, მისი საქმე განხილული ყოფილიყო „თანამოქალაქეთა“ მიერ<sup>10</sup>.

ნათუც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის, უძველეს წინაპირობად მიიჩნევენ ძველ ათენში არსებულ დიკასტერიას, იგივე ჰეილესას. სახალხო მოსამართლეებს დიკასტერებსა და ჰეილესტებს უწოდებდნენ.<sup>11</sup>

იღია, რომ რიგ მოქალაქეებს ხმის უფლება უნდა ჰქონოდათ, გაჩნდა ძვ.წ. V-VI საუკუნეების ათენში. დღევანდელ დემოკრატიულ საზოგადოებასთან შედარებით, ათენის სახელმწიფო ნაკლებად დემოკრატიული იყო, ეს იყო დემოკრატია რჩეულთათვის (როცა თავისუფალი მოქალაქეების გვერდით არსებობდნენ მონებიც). შუა საუკუნეებში, ნათუც მსაჯულებს ხშირად ფიზიკურ ორდალიებს უქვემდებარებდნენ. მორჩილების მიზნით ისინი შეიძლება ჩაეკეტად ოთახში, არ მიეცათ სითბო და საკვები, სანამ გამამტყუნებელ განაჩენს არ დაადგენდნენ. რაც თავისთავად მეტყველებს იმ პარადოქსზე, რომ დემოკრატიული ინსტიტუტი არსებობდა საზოგადოებაში, რომელიც განიცდიდა დემოკრატიის დეფიციტს. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში ნათუც მსაჯულთა სასამართლოს დემოკრატიული ხასიათი იყო წმინდა წყლის ფორმალობა, თუმცა არსებობს ისტორიული გადანყვეტილებებიც, რომლებიც ცხადყოფენ დემოკრატიის ზრდის პროცესს. 1640 წელს ინგლისში 12 ნათუცმა მსაჯულმა უარი თქვა შეთქმულებაში თანამონაწილეებად ეცნოთ უილიამ პენი და იულიამ მედი, რის გამოც ნათუცი მსაჯულები 2 ღამით ჩაკეტეს საკვების და წყლის გარეშე. აღნიშნულ საქმეზე მთავარმა მოსამართლემ თავისი ისტორიული გადანყვეტილებით დაადგინა, რომ არც ერთი ნათუცი მსაჯული არ შეიძლებოდა დასჯილიყო თავისი ვერდიქტისათვის<sup>12</sup>.

ნათუც მსაჯულთა უიური ერთადერთი სასამართლო წარმონაქმნია, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება — თუ ეს საჭიროა სამართლიანი გადანყვეტილების მისაღებად, იგი დააფუძნოს არა კანონზე, არამედ სამართლიანობის მისეულ გაგებაზე. სხვა სასამართლოებისაგან განსხვავებით, ნათუც მსაჯულთა უიური

---

<sup>10</sup> იქვე

<sup>11</sup> იორპენდი დ., ნათუც მსაჯულთა სასამართლო, თბ., 2009 წ.

<sup>12</sup> <http://www.library.court.ge/upload/29962012-09-26.pdf> მოძიებულია 18.05.2019

ოპერირებს არა იურიდიული კატეგორიებით, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებით, „სალი აზრით“, საზოგადოებრივი მორალით, ინდივიდუალური სინდისით, „ადამიანურობის“ კრიტერიუმებით „ნაფიც მსაჯულთა ნულიფიკაცია“ მათი დემოკრატიული ფუნქციის ცენტრალურ ელემენტს შეადგენს — „პარლამენტი ადგენს კანონებს და ძლიერ ხელისუფლებას შეუძლია მკაცრი კანონები დაადგინოს. მაგრამ ვერცერთ ნაფიც მსაჯულს ვერ აიძულებ შეასრულოს ის, რასაც ეს უკანასკნელი მკაცრ კანონად ჩათვლის. ამ მხრივ ნაფიცი მსაჯულები სასიცოცხლო როლს ასრულებენ დემოკრატიულ პროცესში. თუმცა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეს „თვისება“ ძნელია დადებითად ანდა ცალსახად უარყოფითად შეფასდეს. მრავალი ვერდიქტი გახდა საზოგადოების ნეგატიური შეფასების საგანი. მაგალითად: საზოგადოების აზრით, სავსებით მხილებული (ორი პირის მკვლელობაში) სიმპსონის საქმე, ასევე ესპანეთში ახალგაზრდა ნასკ ნაციონალისტ ორტეგის გამართლება. ამ „გადახრილი ვერდიქტის“ გამო აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ მას კინაღამ ემსხვერპლა ორიოდე წლით ადრე აღდგენილი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დემოკრატიულობის ერთ-ერთი ნიშანი არის, ასევე, მისი წარმომადგენლობითი ხასიათი. ამ მხრივ გამოირჩევა თანამედროვე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც საზოგადოების გაცილებით ფართო წრის ინტერესებს წარმოადგენს, ვიდრე ეს იყო მე-18 საუკუნეში.

1972 წლამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წევრობა მხოლოდ მას შეეძლო, ვინც დადგენილ ქონებრივ ცენზს აკმაყოფილებდა. ამის გამო ნაფიცი მსაჯულები უმეტესწილად იყვნენ მამრობითი სქესის, საშუალო ასაკის, საშუალო ინტელექტის და საშუალო კლასის წარმომადგენლები. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოება სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. საზოგადოების ყველა წევრს არ შეუძლია მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, რაც თავისთავად მეტყველებს დემოკრატიის დაბალ ხარისხზე. შეიძლება საკითხი ასეც დაისვას: რამდენად შესაძლებელია დემოკრატია არსებობდეს ეკონომიურად არამდგარდ სახელმწიფოში?

ყველანაირი საფუძველი არსებობს იმის დასაშვებად, რომ რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონე, მით მეტია შანსი, რომ დემოკრატია

იარსებებს. ეს იმ გავლენით აიხსნება, რასაც ეკონომიკური განვითარება ახდენს მოსახლეობის ხასიათზე, მაგრამ იმის დაშვებაც არასწორია, რომ თითქოს დემოკრატია მხოლოდ ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის პირობებში შეიძლება არსებობდეს. განვითარებული ქვეყნებიც განიცდიან ეკონომიკურ პრობლემებს, სიძნელეებს. ეს კი თავისთავად იწვევს პოლიტიკურ შედეგებს. ღრმავდება სოციალური წინააღმდეგობები. ეკონომიკური დეპრესიის დროს ბევრად ძნელია მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა, რაც აძნელებს რწმენას დემოკრატიული მთავრობისადმი. სტაბილურ დემოკრატიულ სისტემებს შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ ამ ძვრებს, მაგრამ ახალი დემოკრატიებისათვის, რომლებსაც სტაბილურობის მისაღწევად ხელშემწყობი პირობები სჭირდებათ, ისინი გაცილებით სახიფათონი არიან.

დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება შეიზღუდოს ისეთი მნიშვნელოვანი უფლებები, როგორცაა დისკრიმინაციისგან თავისუფლების უფლება. დემოკრატია ეფუძნება საჯარო განხილვის, დარწმუნებისა და კომპრომისი პრინციპებს. არსებობს ყველანაირი აზრის გამოხატვის უფლება. დემოკრატია საზოგადოების შიგნით გულისხმობს აზრთა მრავალფეროვნებასა და პლურალიზმს, ასევე მისი წევრების თანასწორუფლებიანობას.

1968 წლამდე მსაჯულთა შერჩევის პროცედურა კონფლიქტში იყო დემოკრატიული იდეურთან. ასე მაგალითად, ამერიკის ზოგიერთ შტატში ნაფიც მსაჯულად ყოფნის უფლება მხოლოდ მაღალი ინტელექტის, განათლებისა და ზნეობის ადამიანებს ჰქონდათ. 1940 წლამდე უმეტეს შტატში ქალთა მონაწილეობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში შეუძლებელი იყო. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ქონებრივი, სქესობრივი, კლასობრივი, ეთნიკური კვალიფიკაციები, რომელიც ახასიათებს ისტორიულ ჟიურის, გამოირიცხება. 1968 წელს კონგრესმა მიიღო ნაფიც მსაჯულთა შერჩევისა და სამსახურის აქტი, რომლითაც გაუქმდა მსაჯულების შერჩევისათვის დაწესებულ სპეციალური მოთხოვნები და დაწესდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპი მთელი საზოგადოების ფართო ფენებიდან. ამავე გადანაცვებით ანტიკონსტიტუციურად გამოცხადდა მსაჯულთა სქესობრივი ნიშნით

შერჩევა და შტატების მამრობითი და მდედრობითი სქესის მსაჯულთა შერჩევას ერთი და იმავე პროცედურის გამოყენება დაევალოთ.

სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად, სახელმწიფოს მექანიზმის სისტემაში აღვიღოთ იმპროვიზაციები სასამართლო, რომელიც განიხილავს და წყვეტს კონკრეტულ საქმეებს. საუკუნეების მანძილზე, სახელმწიფოს განვითარების პარალელურად, ვითარდებოდა მისი მექანიზმის განუყოფელი ნაწილი — სასამართლო ორგანოები. ეს იყო ევოლუციის ხანგრძლივი გზა, რომელმაც არსებული, საკმაოდ რთული სასამართლო სისტემა ჩამოაყალიბა.

სასამართლო სისტემა - ამასთან, ფრთხილ დასრულებული სახით ჩამოყალიბებული გააჩნდათ და გააჩნიათ არასამართლებრივ, არადემოკრატიულ სახელმწიფოებსაც. სამართლებრივი სახელმწიფოს სასამართლო სისტემა ხასიათდება საზოგადოებისკენ მკვეთრად ორიენტირებულობით, მასთან ღრმა და ყოველმხრივი ფუნქციების ურთიერთქმედებით.

გავრცელებული მოსაზრებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გვაქვს მხოლოდ იქ, სადაც არსებობს ორი ერთმანეთისაგან იურისდიქციულად დამოუკიდებელი, ფუნქციურად ეკონომიკური ნაწილებისაგან შემდგარი სასამართლო წარმონაქმნი, რომელთაგან არაპროფესიონალური ნაწილი — ნაფიც მსაჯულთა უიური, მეორე ნაწილისაგან — პროფესიონალი მოსამართლისაგან დამოუკიდებლად, მისი მონაწილეობის გარეშე, ვითარცა „სინდისის სასამართლო“, თავის რწმენისამებრ წყვეტს ფაქტის საკითხებს.სამართლის ყველა საკითხს კი წყვეტს პროფესიონალი მოსამართლე — ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. ეს არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „ოქროს წესი“, რომლის დარღვევა მოასწავებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუციური თვითმყოფადობის არა მხოლოდ შელახვას, არამედ მის გაუქმებას.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც ცალკე აღებული სასამართლო რგოლი ან დამოუკიდებელი სტრუქტურა, არ არსებობს. ნაფიც მსაჯულთა უიური ფორმირდება რომელიმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ერთ ან იმავითად მეტ პროფესიონალ მოსამართლესთან, რომელიც თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებს. სასამართლო სისტემის ძირითად კრიტერიუმთა საფუძველზე

კლასიფიკაციების მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ წარმოადგენს რომელიმე ტიპის სასამართლოს, ანდა სასამართლო სტრუქტურას — ორგანიზაციულად, იგი არის საქმეთა განხილვის ანუ მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი სპეციფიკური ფორმა.

მნიშვნელოვანია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის საკითხიც. მხოლოდ 4 ქვეყანაშია (აშშ, ირლანდია, კანადა, კვიპროსი) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო კანონისმიერი დებულებით უფლებამოსილი, განიხილოს ყველა ან თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი კატეგორიის დანაშაულთა საქმეები. აშშ-ში განსჯადობა (ქვედა ბლვარი) იწყება დანაშაულებიდან, რომელთა გამო კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა 6 თვეზე მეტი ვადით. ზოგ ქვეყანაში (შვედეთი, ირანი) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა ერთობ შებლუდულია — მინიმალურია. მისი იურისდიქცია ვრცელდება „ყველაზე სერიოზულ“ დანაშაულთა საქმეებზე, რომელთა ჩამონათვალი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა ხშირად ეყრდნობა თვით ბრალდებულის (განსასჯელის) ნების გამოვლინებას შუამდგომლობით (მაგ. რუსეთი), ან რაიმე სხვა ფორმით, ანდა მის თანხმობას, რომ საქმე განსახილველად გადაეცეს ნაფიც მსაჯულთა სამსახურს. როგორც წესი, ლაპარაკია იმ ბრალდებულებზე (განსასჯელებზე), რომლებიც თავს არ სცნობენ დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. საერთაშორისო თუ ევროპული სტანდარტები სავსებით „იგუებს“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ეს სტანდარტები არ მოითხოვს სასამართლოების მაინცდამაინც ნაფიც მსაჯულთა თუ ერთპიროვნული, პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი მოსამართლეების, ან კიდევ „შერეული“ შემადგენლობების სახით — მთავარია, რომ იგი აკმაყოფილებს „სასამართლოს“ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესწავლა ნათელყოფს, როგორ მიიღწევა დემოკრატია, როგორია ხალხის თვითმმართველობის უნარი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ააშკარავებს დემოკრატიის მანკიერებას და ღირსებებს, ამასთან, ხელს უწყობს საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას, კანონისადმი, სასამართლო გადაწყვეტილებებისადმი პატივისცემის გაზრდის, ანუ საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ამაღლების გზით.



საკამათო არ არის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყოველთვის ობიექტურ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. დიდია უფსკრული თანამედროვე დავების სირთულესა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო კვალიფიკაციას შორის, ხშირია შემთხვევები, როცა ერთია კანონის მოთხოვნები და მეორეა მართლმსაჯულება. კანონი უნდა ექვემდებარებოდეს დემოკრატიულ ინსპექციას, იმდაგვარად, რომ მასში აისახოს საღი აზრი და საზოგადოების ღირებულებები, ვისი სახელითაც არის დადგენილი კანონი, მართლმსაჯულების განხორციელება არ ნიშნავს იმის კეთებას, რაც პოპულარულია. დემოკრატიული საზოგადოება, ურთიერთობის ნების მიუხედავად იცავს არაპოპულარული (რიგითი მოქალაქის) პიროვნების თავისუფლებას. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაუქმება, როგორც წესი, ისტორიულად, უკავშირდება ანტიდემოკრატიულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ რეჟიმებს. ამ ინსტიტუტს შემოღება კი ემთხვევა ლიბერალური რეფორმების ეპოქას, რეფორმატორ მეფეთა ინიციატივას — დაემკვიდრებინათ სასამართლოსადმი ნდობა. თუმცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემდგომში არაერთხელ იქნა გამოყენებული მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ აშშ, რომელიც დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო. ამერიკელ თავისუფლებისათვის მებრძოლთა მთავარი მოთხოვნა იყო, ჰქონოდათ ნაფიც მსაჯულთა დამოუკიდებელი სასამართლოს არჩევის უფლება, ხოლო მას შემდეგ, რაც ზოგიერთი ამერიკელი მენარმე დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ პასუხისგებაში მისცა მისთვის გადასახადის გადაუხდელობისა თუ მეფის ხელისუფლების კრიტიკის გამო, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ისინი გაამართლა (მაგ. პეტერ ზენგერის საქმე).<sup>13</sup>

დამოუკიდებლობის ნიშნის გარეშე სასამართლო საერთოდ კარგავს თავის ინსტიტუციურ თვითყოფადობას და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ დანიშნულებას, რადგან სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტალური ნიშანია. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის უმთავრესი ღირსებაა არა მართო ის, რომ მართლმსაჯულებაში თავის იყრის ხალხური სიბრძნე, მათი ცხოვრებისეული გამოცდილება და სამართლიანობის გრძნობა, არამედ ისიც, რომ ისინი გაცილებით

<sup>13</sup>ბითჰემი დ., დემოკრატია: კითხვები და პასუხები, თბ. 1998, 138 გვ.

დამოუკიდებელი და შეუბოჭველი არიან, ვიდრე თავიანთი თანამედროვე მდგომარეობითა და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობით „დამძიმებული“ მოსამართლე ჩინოვნიკები. მით უფრო, რომ ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით მსაჯულები არავის წინაშე არ აგებენ პასუხს მიღებული გადაწყვეტილებისათვის, მათ ვერდიქტის დასაბუთებაც კი არ ევალებათ. ამასთან, ფაქტის სწორად დადგენა უფრო შესაძლებელია 12 პირის მსაჯულის შედეგად, ვიდრე ერთი მოსამართლის მიერ. ხალხის უშუალო მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში არის პრინციპი, რომელიც გამოხატავს მართლმსაჯულების დემოკრატიულ საწყისს და საზოგადოების სამართლებრივი კულტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ხალხის უშუალო მონაწილეობა უკეთესად უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების სოციალურ კონტროლს, ხელს უშლის „ხალხის ინტერესებიდან მის დისტანცირებას“, რითაც ხელს უწყობს სასამართლო ხელისუფლებას, ზნეობრივად „ამტკიცებს“ მას, უმაღლესს ავტორიტეტს, საზოგადოებაში ამკვიდრებს სამართლიანობის განცდას. პირდაპირი და ერთობლივი მონაწილეობა სასამართლო განხილვაში, შეხედულებათა მრავალფეროვნება, ერთსულოვნების აუცილებლობა ვერდიქტის მისაღწევად, ხმათა თანაბარი ძალა — ქმნის პირობებს დემოკრატიული განსჯისათვის. ამასთან, მართლმსაჯულება უფრო სანდო და დამაჯერებელია, როცა ის მთელი საზოგადოების წარმომადგენელთა ზნეობის პროდუქტს წარმოადგენს. ნათუც მსაჯულთა სასამართლო ამტკიცებს უფრო პროგრესულ სისტემას — შეჯიბრებით პროცესს, მაქსიმალურად ითვალისწინებს მხარეთა თანასწორობას, ბრალდებულს აძლევს თავის დაცვის უფლების სრულად რეალიზაციის საშუალებას. როდესაც მოსამართლეს უხდება არაპოპულარული გადაწყვეტილების გამოტანა, იგი ექცევა საზოგადოების ან თანამდებობის პირების მხრიდან კრიტიკის ქარცეცხლში. ნათუცი მსაჯულები კი საქმის დამთავრების შემდეგ ინარჩუნებენ ანონიმურობას და ნაკლებად ემუქრებათ აღნიშნულის საფრთხე. ისინი არანაირად არ არიან დაკავშირებულნი სახელმწიფოსთან და არა აქვთ პოლიტიკური ამბიციები, რაც ხაზს უსვამს მათ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ხასიათს. ნეგატიურ ასპექტში მიუთითებენ შემდეგზე: ნათუც მსაჯულებს ანუ „ქუჩიდან მოყვანილ ადამიანებს“ არ გააჩნიათ იურიდიული განათლება, რაც აუცილებელია მართლმსაჯულების

განსახორციელებლად — წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია ზერელობა და დილექტანტიზმი. ნაფიც მსაჯულთა „ხარისხიანი“ უიურის ფორმირებას, მისი ფუნქციონირების ხელშეწყობის ურთულესი პროცედურები კი ვერ უზრუნველყოფენ ნაფიც მსაჯულთა სათანადო კონტიგენტის შერჩევას, შემდგომში კი მათ დაცვას მოსამართლის, დაინტერესებულ მხარეთა, სხვა პირთა თუ მედიის ზეგავლენისაგან, ანუ მათ მიუკერძოებლობას და გამოტანილი ვერდიქტის ობიექტურობას — სამართლიანობას<sup>14</sup>.

### 1.3. რიგითი მოქალაქის ვალდებულებები მართმსაჯულების განხორციელებაში

როდესაც ხლისუფლებებისათვის ცნობილი ხდება დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დაუყოვნებლივ იწყება სამართლებრივი აპარატის ამოქმედება. ამ აპარატს ეწოდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი — კანონიერების დაცვა — ყველაზე თვალსაჩინო და ძვირადღირებული სფეროა, ვინაიდან აქ თავმოყრილია სისტემაში დასაქმებული პერსონალის უდიდესი ნაწილი.

პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის განსჯადობასაც კანონით ექვემდებარება მისი საქმის განხილვა. სისხლისსამართლებრივ დევნას საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს მხოლოდ პროკურორი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანია და სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილისათვის. საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირის კანონიერ ინტერესს პრიორიტეტი აქვს დანაშაულის გახსნისა და

<sup>14</sup> ე. კუსიანი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - დემოკრატიის იდეალი? 2011

დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან შედარებით. პირის კანონიერი ინტერესის დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოების ინტერესებს ემსახურება.<sup>15</sup>

კანონით განსაზღვრული სასამართლოების მისტემა სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. საქართველოში არსებულ სასამართლოების სისტემას ეკისრება მართლმსაჯულების განხორციელება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის მეშვეობით.

ყოველ მოქალაქეს აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს და ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე<sup>16</sup> — მართლმსაჯულების განხორციელების დროს, მტკიცედ და განუხრელად უნდა იქნეს დაცული მთელი რიგი პრინციპული ხასიათის დებულებები, რომელთაც განსაზღვრავს და აყალიბებს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“<sup>17</sup>. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობა, თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა, პასუხისმგებლობა სასამართლოს უპატივცემულობისათვის, სამართალწარმოების ენა, საქმეების განხილვის საქვეყნობა.

თუ სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციით არ განიხილავს ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო, მას პირველი ინსტანციით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენცია ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებების საკითხის გადაწყვეტა, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამომძიებლის ანდა პროკურორის უკანონო ქმედების გამო საჩივრის

<sup>15</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2018, მუხლი 12

[http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali\\_sisxlis\\_samartlis\\_saprocso\\_kodeqsi.pdf](http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali_sisxlis_samartlis_saprocso_kodeqsi.pdf), მოძიებულია 22.02.2019

<sup>16</sup> <http://edu.gba.ge/wp-content/uploads/2015/01/Tomi-II.pdf> მოძიებულია 22.05.2019

<sup>17</sup>კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, თბ., 2012. [http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto\\_sasamartloebis\\_sesaxeb\\_saqartvelos\\_kanoni.pdf](http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto_sasamartloebis_sesaxeb_saqartvelos_kanoni.pdf) მოძიებულია 25.02.2019

გადაწყვეტა, ასევე საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება. ამ ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება, ჩატარდება ან ჩატარდა გამოძიება, ან საპროცესო მოქმედება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სხვა მაგისტრატმა მოსამართლემ<sup>18</sup>. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობისათვის მიკუთვნებული საკითხები მისი არყოფნისას ან იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების ადგილი არ ემთხვევა დანაშაულის ჩადენის ადგილს, შეიძლება განიხილოს სხვა მაგისტრატმა მოსამართლემ ან გამოძიების ადგილის მიხედვით შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების გამო საჩივარს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში განიხილავს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან მაგისტრატი მოსამართლის განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამო სააპელაციო საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატა. სააპელაციო სასამართლოს განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამო საკასაციო საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივარს. სასამართლოში სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე<sup>19</sup>.

<sup>18</sup> <http://cerber1.blogspot.com/2011/09/> მოძიებულია 25.05.2019

<sup>19</sup> <http://edu.gba.ge/wp-content/uploads/2015/01/Tomi-II.pdf> მოძიებულია 22.04.2019

1789 წლის საფრანგეთის რევოლუციიდან სათავეს იღებს შეჯიბრებითი პროცესი, რომელიც არის თანამედროვე მართლმსაჯულების ცივილიზებული ფორმა, როცა სასამართლო ხელისუფლება გამოეყო საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას და მოსამართლეები ემორჩილებოდნენ მხოლოდ კანონს, დანაშაულის აღიარება აღარ იყო მტკიცების ძირითადი წყარო, დაკანონდა დაცვის უფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, გაჩნდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, სასამართლო გახდა საჯარო და პაექრობადი.

საბჭოთა პერიოდში, შეჯიბრებითობა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ფორმა, რუსი მეცნიერის ვ.პ. ნაჟიმოვის კვლევის საგან იყო. უფრო ადრე, მ.ა. ჩელცოვ-ბეტუტოვის შრომებში შეჯიბრებითობა განხილულია მხოლოდ სისხლის სამართალ-წარმოების ისტორიული ფორმის ევოლუციის თვალსაზრისით. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, შეჯიბრებითობის პრინციპის არსის საკითხი, ერთ-ერთმა პირველმა გამოიკვლია მ.ს. სტროგოვიჩმა. მისი აზრით, ეს პრინციპი თავისთავში შეიცავს სამი ძირითადი — ბრალდების, დაცვის და სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის ფუნქციის ცალ-ცალკე განცალკევებულად განხილვას, ბრალდებულისა და ბრალმდებლის თანაზიარ მდგომარეობაში ყოფნას და მათ საპროცესო თანასწორობას. შემდგომში მ.ს. სტროგოვიჩი შეჯიბრებითობის პრინციპის მეოთხე ელემენტად მოიაზრებს სასამართლოს აქტიურ საპროცესო მდგომარეობას.<sup>20</sup>

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობამ 90-იან წლებში ძირეული ცვლილებები განიცადა და სისხლის სამართლის პროცესის ინკვიზიციური ფორმა შეიცვალა შეჯიბრებითობის პრინციპით, რამაც ასახვა ჰპოვა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონში, რომელიც სამართალწარმოების ცივილიზებული ფორმის დასაწყისს წარმოადგენდა და შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს პასუხობდა, უპირველესად პიროვნებისა და მისი უფლებების დაცვას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარს უჭერს ყველა პრინციპულ

<sup>20</sup> ხუნდაძე დ., შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსში. 2009 წ.

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0---0---0prompt-10--..-4-----0-01--11-en-50---20-about--00-3-1-00-0-11-1-OutfZz-8-10&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASHfdfa9fd570df09c458b7b5.2.4> მოძიებულია 27.02.2019

დებულებას, რომლებიც პასუხობს სასამართლო პროცესის დემოკრატიზაციის ამოცანებს, სამართალწარმოების ყველა სტადიაზე შეჭიბრებითობის პრინციპის დაყოფას იმ მისწრაფებით, რომ დაიყოს ბრალდების, დაცვის და საქმის გადანაცვების ფუნქციები, ამასთან აუცილებლად იქნას უზრუნველყოფილი მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომელიც შედის სისხლის სამართალწარმოების სფეროში. შეჭიბრებითობის დემოკრატიული პრინციპი. შეჭიბრებითობა, სისხლის სამართლის პროცესის ქვაკუთხედი, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის საფუძველზე, სისხლის საპროცესო სამართალწარმოებაში შეჭიბრებითობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აკისრია<sup>21</sup>. მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობა და დამოუკიდებელი სასამართლო განაპირობებს შეჭიბრებითობის არსს, რომელიც აგებულია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაზე. შეჭიბრებითობის ძირითად პრინციპია, სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეთა თანაბარი უფლებები. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა კი შესაძლებელს ხდის ამ მიმართულებით ყველა სახის პრობლემის გადანაცვებას. მართლმსაჯულება შეჭიბრებითია მაშინ, როცა სასამართლო განხილვის მხარეებს შეუძლიათ აქტიურად და თანაბარ საწყისებზე ამტკიცონ თავიანთი პოზიციის უტყუარობა, მოიყვანონ ამისათვის არგუმენტები, განმარტონ ფაქტები და მოვლენები, წარადგინონ მტკიცებულებები<sup>22</sup>, ამასთან, სასამართლო მიზანმიმართულად კონტროლს უწევს მხარეთა მოქმედებას, უზრუნველყოფს კანონით დადგენილი სასამართლო განხილვის წესების განუხრელ დაცვას.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული და განაწილებულია მხარეთა უფლებები. სისხლისსამართალმცოდნეობის დევნის ფუნქცია ეკისრება პროკურორს, გამომძიებელს, რომელთა ვალია დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, დანაშაულის ჩამდენი პირის გამოაშკარავება, რისთვისაც

<sup>21</sup> საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 წ. (ცვლილებებითა და დამატებებით)

[http://kutaiaappeal.court.gov.ge/files/upload-file/pdf/saqartvelos\\_konstitucia.pdf](http://kutaiaappeal.court.gov.ge/files/upload-file/pdf/saqartvelos_konstitucia.pdf) მოძიებულია 05.03.2019

<sup>22</sup> [http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali\\_sixlis\\_samartlis\\_saprocso\\_kodeqsi.pdf](http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali_sixlis_samartlis_saprocso_kodeqsi.pdf) მოძიებულია

05.05.2019

ისინი ლებულობენ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის ზომებს, ხოლო დაცვის ფუნქცია კანონის სრული დაცვით, უზრუნველყოფს ბრალდებულის ინტერესები, გაუწიოს მათ იურიდიული დახმარება სისხლის სამართალწარმოების დროს. სასამართლოს მიზანია სისხლის სამართლის საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს კანონის ყველა მოთხოვნათა დაცვით და მიიღოს სწორი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება.

ბრალდების, დაცვის და საქმის გადაწყვეტის ფუნქცია ერთმანეთისაგან განსხვავდება და მათ ერთ ორგანოზე, ერთი ადამიანის ხელში თავმოყრა შეუძლებელია, სასამართლო, რომელიც დამოუკიდებელია ნებისმიერი გარეშე გავლენისაგან და თავისუფალია სასამართლოში წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასებაში, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო, ის არც დაცვის მხარედ გამოდის და არც ბრალდების, სასამართლო ქმნის ყველა პირობას რომ სასამართლო განხლვაში მონაწილე მხარეებმა, შეასრულონ კანონით გათვალისწინებული საპროცესო მოვალეობანი, რისთვისაც ბრალდებისა და დაცვის მხარეები სასამართლოს წინაშე თანასწორუფლებიანები არიან. საქართველოს სსს კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა<sup>23</sup>. სისხლის სამართალწარმოებაში მხარეებს აქვთ გარკვეული საპროცესო ინტერესები, რომლებსაც კანონმა თანაბარი უფლებები მიანიჭა, რომ თავიანთი მტკიცებები, დასკვნები ჩამოაყალიბონ და შეეკამათონ სასამართლო განხილვის მონინაალმდეგე მხარეს. შეჭიბრებითობის პრინციპი, დიდი ხანი უარყოფილი იყო საბჭოთა პერიოდის და მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით. ამის მთავარი მიზეზი იყო უარი ელიარებინათ პროკურორი მხარედ, გაეთანაბრებინათ ის ბრალდებულთან და დამცველთან. ამტკიცებდნენ, რომ პროკურორი პროცესზე არის კანონიერების ზედამხედველი და არა მხარე, რომ თითქოს ის სასამართლოსთან ერთად ასრულებდა საერთო სახელმწიფო, კერძოდ, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. ამიტომ

<sup>23</sup> საქართველოს სსს კოდექსი, 2019, 49-ე მუხლი



დამოუკიდებლობამდე ჩვენი ქვეყნის საპროცესო კანონში თვით ცნება „მხარე“, „შეტყობისობა“ და სხვა მიუღებელი იყო<sup>24</sup>. როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ, 1995 წლის 16 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციაში, გაჩნდა ტერმინი შეტყობისობა, რაც შესაბამისად ასახული იქნა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა შეტყობისობისა და თანასწორობის პრინციპი შემდგომში ფორმულირებული იქნა აგრეთვე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში.

საერთოდ, მეცნიერ-იურისტების ნაწილს მიაჩნიათ, რომ შეტყობისობა არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის პრინციპია, არამედ ის წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ტიპს. „შეტყობისობა საშუალებაა გამოიკვლიოს მტკიცებულებები, ხერხია პროცესზე მონაწილეებმა დაიკვან თავიანთი პოზიციები საქმეზე მათი უფლებებისა და მოვალეობების შესრულების დროს, ჭეშმარიტების დადგენის წესია, მისი მოძებნის საშუალებაა“. მეცნიერთა ნაწილი, სისხლის სამართლის პროცესში, უპირატესობას ანიჭებს შეტყობისობის ფორმას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა საქმის ყველა გარემოების სრულად და ობიექტურად გამოძიებისათვის<sup>25</sup>.

მხარეთა პოზიციების შეტყობა, მიმდინარეობს არა მხოლოდ სასამართლოში, არამედ შეტყობისობას ადგილი აქვს სისხლის სამართალწარმოების მთელ პროცესში, კერძოდ, წინასწარი გამოძიების წარმოებისას.

წინასწარი გამოძიების მონაწილეები, ასრულებენ სისხლის სამართლის სხვადასხვა საპროცესო ფუნქციებს, დასახული აქვთ სხვადასხვა მიზნები წინასწარი გამოძიების სტადიაზე, საპროცესო თვალსაზრისით, მხარეები იმყოფებიან თანაბარ საპროცესო მდგომარეობაში, რათა რეალურად, სრულად განახორციელოს შეტყობისობის პროცესი. მაგრამ, მეცნიერ-იურისტების ერთი ნაწილის მტკიცებით, წინასწარი გამოძიების დროს, ძნელია ისაუბრო სრულყოფილ შეტყობისობის საწყისებზე. მათ მიაჩნიათ, რომ თითქოს წინასწარი გამოძიების სტადიაზე, მხარეები

<sup>24</sup> <http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/monitoringis%20angarishi%20kartuli%20sabooloo2.pdf>  
მოძიებულია 27.05.2019

<sup>25</sup> იქვე

იმყოფებიან მიახლოებით თანაბარ მდგომარეობაში, პროკურორის, როგორც სისხლის სამართლის მდევნელის საპროცესო სტატუსი არ ემთხვევა ბრალდებულისა და მისი დამცველის საპროცესო სტატუსს და ამის გამო, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ერთგვარად შეზღუდული ფორმით ხორციელდება<sup>26</sup>. მათი აზრით, ეს შეზღუდვა გამოიხატება იმაში, რომ წინასწარი გამოძიების დროს, პროკურორი ახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას და თვითონვე ღებულობს გადაწყვეტილებას საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ყველა საკითხზე, ასევე ბრალდებული და მისი დამცველი, დაცვის ფუნქციას ისეთ პირობებში ახორციელებენ, როცა მათ არ აქვთ მტკიცებულებების შეგროვების და წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა. ამიტომ თვლიან, რომ ასეთ პირობებში შეჯიბრებითობას ნაკლები ადგილი რჩება, ხოლო კანონის თანახმად გამომძიებლისა და პროკურორის იმ საპროცესო მოქმედებაზე დაწესებული სასამართლო კონტროლი, რაც დაკავშირებულია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვასთან, ვერ ავსებს ამ ნაკლს. აღნიშნულ საკითხზე, უფრო კატეგორიულები არიან სხვა მეცნიერები, რომელთა აზრით, პროცესის აღნიშნული სტადია აგებულია ისე, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენება უბრალოდ შეუძლებელია.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, გამოძიების სტადიაზე, ისე როგორც სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, მხარეები იმყოფებიან თანაბარ საპროცესო მდგომარეობაში და მათ შორის შეჯიბრებითობა, წმინდა საპროცესო თვალსაზრისით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, სრული ფორმით ხორციელდება. სხვა საკითხია ცალკეულ შემთხვევებში, გამოძიების მწარმოებელი ორგანოები თავიანთ საქმიანობაში პრაქტიკულად, რამდენად რეალურად იცავენ ამ პრინციპს. აქ მთავარია, ამ ორგანოების ნება, მხარეებმა ჩააყენონ კანონით დადგენილ თანაბარ საპროცესო მდგომარეობაში და შექმნან სათანადო პირობები მხარეთა შორის სრული შეჯიბრებითობის განსახორციელებლად<sup>27</sup>.

<sup>26</sup> <http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/monitoringis%20angarishi%20kartuli%20sabooloo2.pdf>  
მოძიებულია 27.05.2019

<sup>27</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2018 წ., (ცვლილებებითა და დამატებებით)

მართლმსაჯულება საქართველოში ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, რომელიც სრული სახით ვლინდება სასამართლოში. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას, ის ვალდებულია არ ჩაერიოს ასეთი მტკიცების პროცესში, მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები მათი უფლებების და ინტერესების დასაცავად და თავი შეიკავოს ბრალდების დამადასტურებელი ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა ძიებისაგან, რადგან მათი აღმოჩენა და წარმოდგენა, მხარეთა კომპეტენციას განეკუთვნება. მთელ ამ პროცესში, სასამართლოს მხოლოდ ის ფუნქცია აკისრია, რომ თუ მხარეს ან მხარეებს უძნელდებათ მტკიცებულებათა აღმოჩენა და წარდგენა, ხელი შეუწყოს მათ მტკიცებულებათა გამოთხოვაში.

სასამართლო განხილვაში, მხარეები მონაწილეობენ ყველა სასამართლო მოქმედებაში. საჯაროობის, შეჯიბრებითობის, უშუალოების და ზეპირობის პირობებში, მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა დაიცვან თავიანთი კანონიერი უფლებები. სწორედ, სისხლისსამართალწარმოების ამ სტადიაზე, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით წარადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში და გამოთქვან თავიანთი აზრი შუამდგომლობასთან დაკავშირებით, რაც განაცხადეს სასამართლო განხილვის სხვა მონაწილეებმა<sup>28</sup>.

შეჯიბრებითობის პრინციპმა, ჭეშმარიტების დადგენისა და საქმის სამართლიანად გადაწყვეტისათვის მტკიცებულებათა შეგროვების ძირითადი სიმძიმე გაანაწილა ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის. ასეთ პირობებში, მოსამართლე წარმოადგენს მიუკერძოებელ არბიტრს, რომელიც თვალს ადევნებს შეჯიბრებითობის მიმდინარეობას მხარეთა შორის, რაც უზრუნველყოფს მტკიცებულებათა წარმოდგენას სასამართლოში. პროფესორი მ. ჩელცოვი ამასთან დაკავშირებით წერდა: „შეჯიბრებითობის ფორმით პროცესის თანმიმდევრული ჩატარება მოითხოვს, რომ პროცესზე მტკიცებულებების წარმოდგენა და გამოკვლევა მოხდეს მხარეებს შორის,

---

<sup>28</sup> ხელმისაწვ. <http://dspace.nplg.gov.ge>

რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან თანაბარი უფლებებით, ხოლო სასამართლო წარმოადგენს ბრალმდებლსა და დაცვას შორის დავის მიუკერძოებელ გადამწყვეტს<sup>29</sup>.

არსებობს სისხლის სამართლის სამი ძირითადი: საპროცესო, კერძო, ბრალდების, დაცვისა და საქმის გადანწყვეტის ფუნქცია. მართლმსაჯულების განხორციელება გულისხმობს სწორედ ამ სამი ფუნქციის განხორციელებას. თავისთავად, თუ ყველა ამ ფუნქციის განხორციელება თავმოყრილი იქნებოდა ერთი ორგანოს ხელში, მაშინ სასამართლო აღარ იქნება მიუკერძოებელი და მითუმეტეს ობიექტური, ამიტომ გახდა აუცილებელი ბრალდების, დაცვის და საქმის არსებითად გადანწყვეტის ფუნქციის დაყოფა პროცესის სუბიექტებს შორის. სწორედ ამგვარად იქნა გაგებული ჩვენი სისხლის სამართლის პროცესი, სადაც სახელმწიფო ბრალდების ორგანოდ გამოდის პროკურატურა, საქმის გადანწყვეტის ორგანოდ მოსამართლე, ხოლო დაცვის ფუნქცია განაწილებულია ბრალმდებლსა და მის დამცველს შორის<sup>30</sup>.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობამ სასამართლო განთავისუფლა ბრალდებისა და დაცვის ფუნქციისაგან, ამასთანავე გაემიჯნა ეს ფუნქციები. სასამართლოს მიერ განხორციელებული საქმის გადანწყვეტის ფუნქცია, გაიწმინდა ბრალდებისა და დაცვის ელემენტებისაგან, რითაც კიდევ ერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული შეჯიბრებითობის პრინციპის განვითარებისათვის. კერძოდ, ჯერ ერთი, კანონმდებელმა აუკრძალა სასამართლოს ახალი ბრალდების წაყენება განსასჯელისა და ახალი პირის მიმართ; მეორეც, ბრალმდებლის მიერ ზარალის აღიარების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია არ გააგრძელოს მტკიცებულებათა გამჭვირვალობა და ჩაატაროს შეკვეცილი სასამართლო პროცესი; მესამე დამატებით გამოძიებაში სისხლის სამართლის საქმის დაბრუნება, დასაშვებია გახდა მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე და არა სასამართლოს ინიციატივით; მეოთხე, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, როცა მას ეთანხმება დაზარალებული, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმე<sup>31</sup>.

<sup>29</sup> М. Челцов, Состязательный процесс и право, 1972, с. 261

<sup>30</sup> საქართველოს სასამართლო სისტემის გადახალისება: ნათეს მსაჯულთა სასამართლო, მეტი დემოკრატია თუ მართლმსაჯულების გამოსწორება.

<http://transparency.ge/post/report/sakartvelos-sasamartlo-sistemis-gadakhaliseba> მოძიებულია 10.03.2019

<sup>31</sup> ხელმისაწვდ. <http://dspace.nplg.gov.ge>

აქვე აღსანიშნავია, რომ მცდარია ზოგიერთი მეცნიერ-იურისტის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ეს უკანასკნელი დებულება არღვევს მხარეთა თანასწორობას და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს. პროკურორს, რომელიც არის სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, აძლევს დამნაშავე პირს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ადგენს საბრალდებო დასკვნას და საქმეს აგზავნის სასამართლოში განსახილველად, შესაბამისი კანონიერი საფუძვლების არსებობისას, აქვს კანონით მინიჭებული უფლება, საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე, ური თქვას ბრალდებაზე. აღნიშნულით არ იზღუდება სასამართლოს დამოუკიდებლობა და არ ილახება მისი ავტორიტეტი.

შეჯიბრებითი სასამართლო განხილვის დროს მოსამართლე არ შეიძლება იყოს სასამართლო გამოძიების პასიური მეთვალყურე. მან ყველა პირობა უნდა შექმნას მხარეებისათვის საქმის გარემოებების გამოსაკვლევად, მაგალითად: მხარეთა შუამდგომლობით გამოძახებული იქნას საჭირო მონმე, მოითხოვოს ესა თუ ის დოკუმენტი, დანიშნოს ექსპერტიზა და სხვა.

სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს საზოგადოების უმთავრეს ღირებულებას. მოსამართლეების ქცევა როგორც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, ისე სხვა საქმიანობის განხორციელების დროს წარმოადგენს საზოგადოების სასამართლოსამდი ნდობას და სასამართლო ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან საფუძველს ეყრდნობიან რა საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, ასევე სამოსამართლო ეთიკის სფეროში მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ღირებულებებს, მათ შორის მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს და ევროპის მოსამართლეთა საკონსტიტუციო საბჭოს მოსაზრებას მოსამართლეთა პროფესიული ქცევის პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის, შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის თაობაზე, ადგენენ სამოსამართლო ეთიკის წესებს, რომელთა მიზანია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო ხელისუფლების ერთიანობის განმტკიცებას, სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობისა და რწმენის ამაღლება, მოსამართლის თანამდებობის პრესტიჟისა და

ავტორიტეტის დაცვა<sup>32</sup>. მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად, მოსამართლე უნდა იყოს კანონისა და მოსამართლის ფიციის ერთგული, მართლმსაჯულების განხორციელებისას — კანონისა და სასამართლოს უზენაესობის გარანტი. მისი აზრი არ უნდა მერყეობდეს პოლიტიკური, სოციალური, მხარის ინტერესის საზოგადოებრივი ზემოქმედების ან სხვაგვარი ურთიერთობის ზეგავლენის გამო, ანდა კრიტიკის შიშით. მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი, მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამგზავრისათვის შეუფერხებლად. სამოსამართლო მოვალეობების შესრულებისას მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარი შექმნილი აზრის ან შეხედულებისაგან. იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას, რომელსაც პროცესის მონაწილეები ან საზოგადოება აღიქვამს წინასწარ შექმნილ შეხედულებად. მოსამართლე საჯაროდ არ უნდა გამოხატავდეს უარყოფით აზრს ან შეხედულებას სხვა მოსამართლისა და კოლეგის პროფესიონალიზმსა თუ პირად თვისებებზე, აგრეთვე უპატივცემლოდ არ უნდა ისხენიებდეს სხვა მოსამართლის მიერ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას. მოსამართლეს ეკრძალება პროცესის მონაწილეთა ანდა საქმით დაინტერესებული პირის მიღება ან მასთან კომუნიკაცია სასამართლოში ან მის გარეთ საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. მოსამართლე ვალდებულია პროკურორის, ადვოკატის ან პროცესის სხვა მონაწილის მიერ კანონით აკრძალული ფორმით კომუნიკაციის მცდელობის თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს სასამართლოს თავმჯდომარეს. მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით. ის ღირსებითა და სათანადო ავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. სასამართლო

<sup>32</sup>ხელმისაწვდ. <http://www.supremecourt.ge/print/?page=text&id=71&lang=geo>

სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ. ის ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. დაუშვებელია, რომ პროცესის მონაწილის რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, წოდებრივი, თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილება ან სხვა გარემოება გავლენას ახდენდნენ მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერებასა ან მისი უფლებამოსილებებს სათანადოდ განხორციელებაზე.

მოსამართლე პატივს უნდა სცემდეს სასამართლოს პერსონალს, აგრეთვე თვალყურს ადევნებდეს, რომ სასამართლოს მოხელე იცავდეს პროფესიული ეთიკის ნორმებს, თავშეკავებულად მოქმედებდეს, არ იჩენდეს რაიმე მიუკერძოებლობას ან არ ავლენდეს განსხვავებულ დამოკიდებულებას მხარეების მიმართ<sup>33</sup>. მოსამართლე ვალდებულია სათანადო რეაგირება მოახდინოს სასამართლოს მხარის, მხარის ან მისი წარმომადგენლის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევაზე. მან პროფესიული მოვალეობის განხორციელებისას მოპოვებული ინფორმაცია არ უნდა გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებების საზიანოდ. დაუშვებელია მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც. სამოსამართლო ფუნქციების სათანადო კომპეტენტურობით განხორციელების მიზნით მოსამართლე ვალდებულია პერიოდულად იმალლებდეს პროფესიული ცოდნის დონეს და სისტემატურად ეცნობოდეს მის სფეროში მიმდინარე სიახლებს. იგი აგრეთვე ხელს უნდა უწყობდეს სასამართლოს მოხელეთა პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის ამაღლებას, აძლევდეს მათ საჭირო რჩევა-დარიგებას. მოსამართლემ მასმედიასთან და საზოგადოებასთან<sup>34</sup> ურთიერთობისას აზრის გამოთქმის უფლებით სარგებლობისას არ უნდა შელახოს მართლმსაჯულების ღირსება, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა. მასმედიასთან ურთიერთობის დროს უნდა მოერიდოს საკუთარი აზრის გამოთქმას განსახილველი, განხილვის

<sup>33</sup>მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, 2001 წ. 23.06. №6 დადგენილება.

<sup>34</sup> ხელმისაწვ. <http://www.ilo.org>

პროცესში არსებულ ან უკვე განხილული საქმის თაობაზე, თუ ეს არ ეხება საქმის წარმოების ორგანიზაციულ ან ტექნიკურ მხარეს. სპიკერი მოსამართლე, მედიის მოთხოვნის ან ამ მოთხოვნს გარეშე, გასცემს ინფორმაციას სასამართლოს საქმიანობაზე, აგრეთვე, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ახდენს სასამართლო გადაწყვეტილებათა გაშუქებას. მოსამართლემ მასმედიისათვის ინფორმაციის მიწოდების დროს არ უნდა გაახმაუროს კოლეგებს შორის ამა თუ იმ საკითხზე დავა ან დისკუსია. ამასთან, განცხადების გაკეთებისას არ უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ მხარის პოპულარობა და ამ საკითხით მასმედიის თუ ხელისუფლების ორგანოების დაინტერესება. მოსამართლე საჯაროდ ან პირად საუბარში უნდა მოერიდოს ისეთ განცხადებას, რომელსაც შეუძლია წარმოშვას საფუძვლიანი წინაპირობა, რომ ეს განცხადება ხელს შეუშლის საქმეზე, მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებას. მან თავის საქმიანობაში უნდა გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია. ამასთან, მოსამართლემ სათანადო მოხელესაც უნდა ურჩიოს თავი შეიკავოს ამგვარი განცხადების გაკეთებისაგან. მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს თუ სად და რა ვითარებაში აკეთებს განცხადებას, რომ საზოგადოებამ არ აღიქვას იგი მხოლოდ ერთ ორგანიზაციასთან თუ ჯგუფებთან მიმართებაში. მოსამართლე ყურადღები უნდა მოექცოდეს საჯარო შეხვედრებზე გამოსვლას, რომ მისი ესა თუ ის მოსაზრება არ ჩაითვალოს პოლიტიკურ მხარდაჭერად ან მიკეძობად<sup>35</sup>.

მოქალაქეობრივი აღზრდა-განათლების მიზანია ამაღლდეს უფლებრივი და მოვალეობითი ცნობიერება, პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც საჭიროა ადამიანების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის, აგრეთვე დამკვიდრდეს ადგილობრივი და ფართო საზოგადოების ცხოვრებაში ჩართულობის ფასეულობა ინდივიდებისა და საზოგადოებისათვის.

მოქალაქეობრივი აღზრდა-განათლება ქმნის შესაძლებლობებს ინდივიდის სულიერი, მორალური, სოციალური, კულტურული განვითარებისათვის. ეს შესაძლებლობანი სხვადასხვა გზით ხორციელდება. კერძოდ:

<sup>35</sup> ხელმისაწვ. <http://www.supremecourt.ge>



— სულიერი განვითარებისათვის — ინდივიდის მიერ ცხოვრების საზრისისა და მიზნის, აგრეთვე საზოგადოებაში ფასეულობათა გაცნობიერებითა და გაგებით;

— მორალური განვითარებისათვის — ინდივიდისთვის მართებულობისა და მცდარის, სამართლის, სამართლიანობის, უფლებებისა და მოვალეობების მიმღებლობის ჩამოყალიბებაში დახმარებით;

— სოციალური განვითარებისათვის — ინდივიდისათვის საზოგადოების პასუხისმგებლობასთან და ეფექტიან წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩართულობაში დასახმარებლად;

— კულტურული განვითარებისათვის — ინდივიდებისათვის მრავალფეროვნებისა და განსხვავებებისადმი პატივისცემის ამაღლებით; აგრეთვე იმ განსხვავებული სოციალური ქვაკუთხედის არსისა და როლის გაცნობიერებაში დახმარებით, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან.

მოქალაქეობრივი ჩართულობა ემნის შესაძლებლობებს, რომ ინდივიდებმა განივითარონ:

1) კომუნიკაციის უნარ-ჩვევები — სოციალური, პოლიტიკური და სათემო საკითხების მრავალფეროვნების შესახებ კვლევით, დისკუსიისა და ინფორმაციის იდეების გაზიარებით;

2) თანამშრომლობის უნარ-ჩვევა — იდეათა გაზიარების, მოქმედების გზების ფორმულირებითა და საოჯახო, სამეზობლო, სათემო და უფრო ფართო საზოგადოებრივ აქციებში პასუხისმგებლობიანი მონაწილეობით;

3) პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევა — პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებში ჩართულობის მიღწევით;

4) საზოგადოებრივი უნარ-ჩვევები — იმ სოციალური საკითხების ათვისებაში დახმარებით, რომლებიც მოითხოვს დასაბუთებას, გაგებას, კვლევა-ძიებასა და შეფასებას;

5) პრომიტი უნარ-ჩვევები — წარმატებული საზოგადოებისა და ეკონომიკის მისაღწევად სწავლასა და პრომას შორის კავშირის გაცნობიერებასა და დაფასებაში დახმარებით;

6) ცოდნა მდგრადი განვითარების შესახებ — საზოგადოებისა თუ გარემოს სიჭანსაღებე, სტრუქტურასა და ხარისხზე ზეგავლენის მომხდენი, აგრეთვე საზოგადოებაში გარემოსა და ეკონომიკაში ადამიანის მოღვაწეობის განსაზღვრული ფასეულობების გარკვევით.

მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ გამოიკვლიონ, განიხილონ და იკამათონ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე და მონაწილეობა მიიღონ კრიტიკულ დისკუსიებში, რომლებიც მათ ცხოვრებას ასახავს, იმუშაონ სხვადასხვა ზომისა და შემადგენლობის ჯგუფებში, შეასრულონ პასუხისმგებლობა შედეგებზე, გამოიკვლიონ იმ პრობლემების წარმომქმნელი სხვადასხვა ფასეულობანი და განწყობილება-დამოკიდებულებანი, რომლებსაც აწყდება საზოგადოება, შეისწავლონ სხვა ადამიანების გამოცდილება, წამოიწიონ სამუშაო, სხვებთან ერთად გამოიყენონ მონვეული სტუმრები და ორგანიზაციები, დაუკავშირდნენ საზოგადოებას, მაგალითად: ჩაატარონ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, აქტიურად ჩაერთონ გადწყვეტილებათა მიღებაში და ღონისძიებების ორგანიზაციაში.

მოქალაქეობის ცნება სამ შინაარსობრივ ასპექტს მოიცავს: სამოქალაქოს (civil), პოლიტიკურსა (political) და სოციალურს (social). შესაბამისად ეფექტიანი მოქალაქეობრივი ჩართულობა სამი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით ხდება. ეს მიმართულებებია: სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის განცდა, გაცნობიერება, მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და პოლიტიკური განსწავლულობის შექმნა. დემოკრატიასთან მიმართებაში მოქალაქეობრივი ჩართულობა მოიცავს დემოკრატიის გლობალურ და საერთაშორისო ცოდნას (სამოქალაქო ცოდნა), კერძოდ, საზოგადოებრივ მოვლენებსა და საკითხებზე პოზიციების შეფასებას, შემუშავებას და დაცვას, პოლიტიკური და სამოქალაქო ცხოვრების პირობების შესახებ კრიტიკული აზროვნების, სხვა მოქალაქეებთან ურთიერთგაგება პირადი და საზოგადო ინტერესების წინსვლისათვის, საზოგადოებრივი მოვლენებისა და საკითხების მონიტორინგს, ზეგავლენის მოხდენას საზოგადოებრივ საკითხებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ გადწყვეტილებებზე, ასევე მოქმედებას პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრების გასაუმჯობესებლად ადგილობრივი, სახელმწიფოებრივი და გლობალური მასშტაბით.

მოქალაქეობის უნივერსალური ჩართულობა სამოქალაქო განწყობა გულისხმობს საყოველთაო და თანასწორი ჰუმანიზმის, ყოველი პიროვნების ღირსებისა და ფასეულობების განმტკიცებას, ყოველი პიროვნებისათვის თანაბრად კუთვნილი უფლებების პატივისცემას, დაცვას და დამკვიდრებას.

## თავი 2. „სასამართლო მეგობრის“ ინსტიტუტი

საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიიღო, რომელშიც მთელ რიგ შესწორებასა და ახალ ინსტიტუტებს ვხვდებით. ერთ-ერთი აღნიშნული ნოვაცია საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლია, კერძოდ, სასამართლოს მეგობარი („Amicus Curiae“), რომლის შემოღებას სავარაუდოდ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული გარდაქმნები უდევს საფუძვლად<sup>36</sup>.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველი სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება არ არის შედგენილი ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, იგი მას არ განიხილავს.<sup>37</sup>

წერილობითი მოსაზრება არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. იგი შედგენილი უნდა იქნეს 3 ცალად, რომელთაგან 2 ეძლევა მხარეებს, ხოლო 1 კი მოსამართლეს.

სასამართლო უფლებამოსილია ინიციატივით, ანდა მხარის და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.<sup>38</sup>

<sup>36</sup> სს საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლი, 2019

<sup>37</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, 2018.

<sup>38</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2018, (ცვლილებებითა და დამატებებით)

[http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali\\_sisxlis\\_samartlis\\_saproceso\\_kodeqsi.pdf](http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali_sisxlis_samartlis_saproceso_kodeqsi.pdf) მოძიებულია 12.03.2019

## 2.1. სასამართლოს მეგობარი ქართულ სასამართლოში

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი უკვე ამოქმედდა საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. ამ ინსტიტუტის მოქმედება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში პირველი პრეცედენტია. 2009 წლის 22 აგვისტოს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონში საქართველოს პარლამენტის მიერ შეტანილი დამატებით, II თავის მე-14 მუხლის მიხედვით, ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დამტკიცებული ფორმით საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით თავისი წერილობითი მოსაზრებით<sup>39</sup>. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის ვალდებული, მხედველობაში მიიღოს ეს წერილობითი მოსაზრება, მაგრამ უფლება აქვს, თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს, გამოიყენოს „სასამართლოს მეგობრის“ მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელიც შესაძლებელია აისახოს ასევე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო „სასამართლოს მეგობრის“ წერილობით მოსაზრებას საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მას უფლება აქვს გამოიძახოს იგი სასამართლო სხდომაზე დამატებითი შეკითხვების დასმის მიზნით<sup>40</sup>.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ პირველი ორგანიზაციაა, რომელმაც 2009 წლის 26 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „სასამართლოს მეგობრის“ სტატუსით მიმართა და წარუდგინა წერილობითი მოსაზრება სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით<sup>41</sup>. „საიამ“ წერილობითი მოსაზრება წარადგინა საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით ასოციაციის გამოცდილებისა

<sup>39</sup> „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონი, 22.08.2009, მუხლი 14

<sup>40</sup> კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს „სასამართლოს მეგობრის“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წერილობითი მიმართვა №466 სარჩელზე.

<sup>41</sup> ხელმისაწვდ. <https://gyla.ge>

და დასახული მიზნების რეალიზაციის მიზნით, იქედან გამომდინარე, რომ კავშირის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს და სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობისათვის და დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის ბრძოლა. იურისტთა ასოციაცია ეთანხმება საქართველოს სახალხო დამცველს, რომელიც ითხოვს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „სხვა ფიზიკური პირის“ წინ სიტყვების „საქართველოში მცხოვრებ“ და სიტყვებს „იურიდიულ პირს“ წინ სიტყვა „საქართველოს“ არაკონსტიტუციურად ცნობას. აღნიშნული ნორმა შესაძლებლობას ართმევს საზღვარგარეთ მცხოვრებ სხვა ქვეყნის მოქალაქეს და სხვა ქვეყნის იურიდიულ პირს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს<sup>42</sup>. სწორედ საკითხის ასეთი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წერილობით მოსაზრებაში „სასამართლოს მეგობარი“ სხვადასხვა არგუმენტებით ცდილობს განავითაროს და დაასაბუთოს მოსაზრება, რომ კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებები ვრცელდება ყველაზე, როგორც საქართველოს მოქალაქეზე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირებზე, იმ უცხოელზე, რომელიც ცხოვრობს საქართველოში და საქართველოს იურისდიქციის ქვეშ საზღვარგარეთ მყოფ უცხოელზე. „სასამართლოს მეგობრის“ წერილობით მოსაზრებაში დეტალურად არის მიმოხილული საქართველოს ის ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ იმ უცხოური ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებით მდგომარეობას, რომლებიც არ არიან დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიასთან, ასევე საქართველოს მიერ რატიფიცირებული ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას აკისრებს ვალდებულებას, თავისი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოს ყველას ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.“ — აცხადებენ „საიაში“<sup>43</sup>.

<sup>42</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 2019, 42-ე მუხლი

<sup>43</sup> ხელმისაწვდ. <http://www.ghn.ge>

არსებობს პრაქტიკა, სადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან „Amicus Curiae“-ს რანგში თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანო — ვენის კომისია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიმართა ამ უკანასკნელს თხოვნით, წარედგინა წერილობითი მოსაზრება პრობლემურ სისხლისსამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

კომისიის მიერ წარდგენილი დოკუმენტი პასუხს სცემს კონკრეტული დაზუსტებიდან გამომდინარე დასმულ შეკითხვებს სისხლისსამართლებრივ კანონთა უკუძალასა და ხანდაზმულობაზე. წერილობითი მოსაზრება ასევე მოიცავს თეორიებს, სწავლულთა შეხედულებებს, ქვეყნების შიდასამართლებრივ და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. უფრო დაწვრილებით კი, მიმოიხილავს კანონის უკუძალის აკრძალვის მიზანსა და ბუნებას სისხლის სამართალში. მსჯელობისას კომისია ეყრდნობა ძირითად პრინციპებს, მათგან გამომავალ ლოგიკურ არგუმენტებს, გამეფებულ შეხედულებებს და თეორიებს. დასკვნა ასევე მოიცავს ხანდაზმულობის განმარტებასა და ანალიზს როგორც პროცესუალური, ასევე მატერიალური კუთხით. აქვეა დართული ირლანდიის საკანონმდებლო რეფორმის კომისიის შეხედულებები მოცემულ საკითხზე და პრობლემის შიდასამართლებრივი გადაწყვეტის გზა უნგრეთის მაგალითზე. განხილულია კაზუსი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საქმის“ კოეში და სხვები ბელგიის წინააღმდეგ“. მოცემულ შემთხვევაში, წერილობითი მოსაზრება ასახავს ცოდნასა და დაგროვილ გამოცდილებას, რითაც ერთობ ამომწურავ პასუხს სცემს ყველა იმ კითხვას, რომელთა ცოდნაც ეხმარება სასამართლოს სამართლიანი და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

ამრიგად, როგორც კვლევებმა გვიჩვენეს, „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთის მხრივ, ის წარმოადგენს დამაკავშირებელ ხიდს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის, ახდენს როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირთა ინტეგრაციას სამართალწარმოებაში. ვინაიდან სისხლის სამართლის კონკრეტული საქმის სუბიექტის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება საჯარო კეთილდღეობაზე აისახება, სამართლიანია გარეშე პირთა აქტიური ჩართულობა სასამართლო პროცესში. წყაროთა სიმრავლე სასამართლოს

მართლმსაჯულების განხორციელებას უადვილებს. რადგან „Amicus Curiae“-ს წერილობითი მოსაზრება კვალიფიციურ განმარტებას წარმოადგენს, შესაბამისად ის გამოტანილ გადანწყვეტილებას უფრო ზუსტს და სამართლიანს ხდის.

მეორეს მხრით, „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ წერილობითმა მოსაზრებამ შეიძლება საქმესთან შეუსაბამობის გამო გააჭიანუროს მართლმსაჯულების განხორციელება, როგორც საზღვარგარეთის პრაქტიკის განხილვამ გვიჩვენა, ორგანიზაციების მიერ მოსაზრების წარდგენა შეიძლება ემსახურებოდეს არა სასამართლოს დახმარებას, არამედ პრესტიჟის ამაღლებასა და სახელის მოხვეჭას. არ გამოვრიცხავთ იმ ფაქტს, რომ იგივე პრეცედენტს საქართველოშიც შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ასევე, 55-ე მუხლის მიხედვით, არ შეიძლება „სასამართლოს მეგობრის“ წერილობითი მოსაზრების შინაარსმა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა გამოხატოს, ის მხოლოდ სასამართლოს დახმარებას უნდა ემსახურებოდეს. ეს კი რეალურად ძალიან რთული განსახორციელებელია, რადგან მთლიანობაში იგი ეხმარება სასამართლოს გამოიტანოს გადანწყვეტილება პროცესში მონაწილე რომელიმე მხარის სასარგებლოდ, რაც საბოლოოდ აუცილებლად აისახება მოსარჩელის ან მოპასუხის ინტერესების მხარდაჭერაში.

გაამართლებს თუ არა „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი ქართულ რეალობაში, ამას დრო და სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ კარგია მისი ამოქმედება საკანონმდებლო დონეზე, რადგან იგი გარკვეულწილად ყველა შემთხვევაში შეუწყობს ხელს სამართალწარმოების სრულყოფას.

## **2.2. „სასამართლოს მეგობარი“ საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში**



„სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი ძირითადად დამახასიათებელია საერთო სამართლის ქვეყნებისათვის, სადაც მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას ხშირად ეყრდნობა პრაქტიკას, ვინაიდან გადაწყვეტილება ქმნის პრეცედენტს, ანუ იმას, რაზეც მომავალში სასამართლო თავის გადაწყვეტილებებს აფუძნებს.

„სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი საერთო სამართლის ქვეყნებს შორის საუკეთესოდაა განვითარებული ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს კანონი „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრებას საჭიროდ მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ ის შეეძება საკითხს, რომელიც ჯერ კიდევ არ განუხილავთ მხარეებსა და სასამართლოს. მოსაზრება, რომელიც არ ემსახურება ამ მიზანს, ხელს უშლის მართმსაჯულებას აღსრულებას და ასეთის წარდგენა არ არის სასურველი, არც ერთი სასამართლო არ არის ვალდებული განიხილოს ან გაითვალისწინოს პირის რჩევა იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი მისი მოწვეულია. „სასამართლოს მეგობრის“ წერილობით მოსაზრება შეიძლება წარედგინოს სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საქმეში მონაწილე ყველა მხარის წერილობითი თანხმობა, ან სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ან სასამართლოს მიმართვა პირისადმი წარსდგეს სასამართლოს მეგობრად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შტატების, ოფიცრის, სააგენტოს, შატის, ოლქის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფის მიერ საქმის გაცნობისას ნებართვა არ არის საჭირო. წერილობითი მოსაზრება შეიძლება თან დაერთოს შუამდგომლობას წერილობითი მოსაზრების დასაშვებობის შესახებ. შუამდგომლობა „სასამართლოს მეგობრად“ დასაშვებობაზე განმარტავს პირის მოტივაციასა და დაინტერესებას, ასევე იმას, თუ რატომ არის გამოსადეგი მისი წერილი კონკრეტული საქმის გადაწყვეტისათვის. „სასამართლოს მეგობრის“ შუამდგომლობა მოსაზრების ზეპირსიტყვიერი წარდგენის შესახებ დაკმაყოფილდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

„სასამართლოს მეგობრის“ მონაწილეობა საერთაშორისო სამართალში არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი და ამ საკითხზე არსებობს განსხვავებული პოზიციები. ნაწილი მიიჩნევს, რომ კერძო პირებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წერილობითი მოსაზრების წარდგენა საერთაშორისო

ტრიბუნალში, დაუშვებელია, რადგან მათი მონაწილეობით სახელმწიფოს როლი საქმეში მცირდება და არსებობს საშიშროება იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება დაკარგავს ავტორიტეტს და სამართალშემოქმედის სტატუსს. მეორე მხრივ, მართლმსაჯულების განსახორციელებლად საჭიროა კერძო პირთა მოსაზრებების და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობაც საქმეში, რადგან მათი მოსმენა და მოსაზრებების გათვალისწინება სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაა და ამავე დროს, მიუხედავად შიდასახელმწიფოებრივ იურისდიქციაში ჩარევისა, სახელმწიფოში მაინც დარჩებიან საერთაშორისო სამართლის ეპიცენტრში მათი ქმედებები.

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებით მონიჭებული უფლებამოსილებით, საერთაშორისო ტრიბუნალში წყვეტენ, დაუშვან თუ არა კერძო პირების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები საქმეზე განსახილველად, მაგრამ მათ ასე მოქცევის შესაძლებლობას მხოლოდ ეს ნორმები არ აძლევთ. მართლმსაჯულების განმახორციელებელი საერთაშორისო ორგანოები სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებით წყვეტენ „სასამართლოს მეგობრის“ მონაწილეობის საკითხს დავები, რითაც იყოფენ დისკრეციულ უფლებამოსილებას — ხშირ შემთხვევაში ისინი საერთოდ კრძალავენ ამ ინსტიტუტის მონაწილეობას საქმეში, ხშირად კი სარგებლობენ ნაგულისხმევი ან კანონში პირდაპირ ჩამოყალიბებული უფლებებით, დაუშვან ისეთი კერძო პირების და არასამთავრობო ორგანიზაციების წერილობითი მოსაზრების განხილვა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების გადამწყვეტმა ორგანომ გადაწყვეტილება მიიღო დავების დისკრეციული უფლებამოსილების „სასამართლოს მეგობრად“ მონაწილეობის დასაშვებობაზე. ამ დასკვნის საფუძველი გახდა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაეროს კომისიის არბიტრაჟის კანონთა მე-15 მუხლი, რომელმაც დაამკვიდრა საერთაშორისო სამართალში „სასამართლოს მეგობრის“ მონაწილეობა.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო აძლევს კერძო პირებს უფლებას დავების განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, ზეპირად ან წერილობით, ჩამოყალიბონ წერილობითი მოსაზრება და წარუდგინონ სასამართლოს. ამერიკის

ადამიანის უფლებათა დამცველმა სასამართლომ დართო ნება კერძო პირებს შეითავსონ „სასამართლოს მეგობრის“ ფუნქცია.

### 2.3. სასამართლოს მეგობარის დასკვნის სამართლებრივი სტატუსი

საქართველოს სისხლის სამართლის კანონდებლობის, საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის II ნაწილის თანახმად: „წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს სათანადოდ შეათვასოს განსახილველი საკითხი, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება არ არის შედგენილი ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, იგი მას არ განიხილავს“<sup>44</sup>.

სწორედ, 55-ე მუხლის II ნაწილის ცხადყოფს სასამართლოს მეგობრის დანიშნულებას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, კერძოდ, დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი წერილობითი მოსაზრების მიზანია სასამართლოს დახმარება, სათანადოდ შეათვასოს განსახილველი საკითხი და არა პროცესის რომელიმე ნაწილის მხარდაჭერა, ანუ წერილობითი მოსაზრება სამართლიანი და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფილი ერთ-ერთი საშუალება უნდა იყოს.

თუ რა მოთხოვნები უნდა დაიცვას პირმა სასამართლოსთვის სასამართლო მეგობრის სტატუსით მიმართვისას, ამაზე მუხლის სხვა ნაწილში ვისაუბრებთ.

55-ე მუხლის III ნაწილი: „სასამართლო არ არის ვალდებული გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები“ — მიგვაჩნია, რომ მუხლის ამ

---

<sup>44</sup> სსს კოდექსი, 2019, 55-ე მუხლის II ნაწილი.

ნაწილის შინაარსი ნათელია და დამატებით ახსნა-ნამარტებას არ საჭიროებს. დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ წერილობითი მოსაზრებას სასამართლო საქმის განხილვის დროს გაითვალისწინებს თუ არა ეს უკვე ამ უკანასკნელის პრეროგატივაა<sup>45</sup>.

55-ე მუხლის IV ნაწილის შინაარსი ეხება წერილობითი მოსაზრების მოცულობასა და ეგზემპლარებს: „წერილობითი მოსაზრება მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს, იგი შედგენილ უნდა იქნას 3 ასლად, რომელთაგან 2 გადაეცემა მხარეებს, ხოლო 1 რჩება მოსამართლესთან“<sup>46</sup>.

შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ყველა ის მოთხოვნა, რომელთა დაცვა აუცილებელია სასამართლოს წინაშე წერილობითი მოსაზრების წარსადგენად, მაშვასადამე, წერილობითი მოსაზრება:

— შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა, რომელიც არ არის პროცესში მონაწილე მხარე;

— წარდგენილ უნდა იქნას საქმის არსებით განხილვამდე 5 დღით ადრე;

— დაკავშირებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმესთან;

არ უნდა გამოხატავდეს პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერას;

— უნდა დაეხმაროს სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელმა სასამართლოს მეგობართან თანამშრომლობის გზით შეძლოს კანონიერი, სწრაფი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა.

55-ე მუხლის V ნაწილის თანახმად: „სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად“<sup>47</sup>. მუხლის ამ ნაწილში ნაწილში ნათელია როგორც ალტერნატიული, ასევე კუმულატიური პირობების არსებობა, რომლის თანახმადაც, სასამართლოს მეგობარი შეიძლება გამოიძახონ ზეპირი განმარტების მისაცემად; სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მოიხმოს

<sup>45</sup> იქვე, III ნაწილი

<sup>46</sup> იქვე, IV ნაწილი

<sup>47</sup> სსს კოდექსი, 2019, 55-ე მუხლის V ნაწილი.

სასამართლოს მეგობარი საქმის განხილვაზე (არ არის საჭირო რომელიმე მხარის ან წერილობითი მოსაზრების წარმოდგენის თანხმობა), სასამართლოს მეგობარი გამოძახებულ იქნას საქმის არსებით განხილვაზე დამატებითი შეკითხვების დასმის მიზნით.

### თავი 3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც მართლმსაჯულების პროცესში არაპროფესიონალ მოსამართლეთა ჩართულობას გულისხმობს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აპრობირებული მეთოდია. ახლახან ეს ინსტიტუტი ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებით საქართველოშიც იქნა დამკვიდრებული. ამ ინსტიტუტს საქართველოში ბევრი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს. ხშირად მის საწინააღმდეგო არგუმენტად მოყვანილია ის ფაქტი, რომ მსოფლიოში შეინიშნება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემცირების ტენდენცია. თუმცაღა ასეთი მსოფლიო პრაქტიკის მიუხედავად საქართველომ ეს მექანიზმი ახლახან ამოქმედდა იმ მოტივით, რათა ხელი შეწყოს ჯანსაღი და ეფექტიანი სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებას და საზოგადოების მეტ ჩართულობასა და ნდობის აღდგენას სასამართლო სისტემისადმი<sup>48</sup>.

რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვება ამ ახალი ინსტიტუტის დანერგვას, ამას ამ მექანიზმის ამოქმედება და დრო გვიჩვენებს, თუმცა მანამდე საპროცესო კოდექსის ცვლილებებზე ჰაინრიხ ბიოლის ფონდში მოწვეულმა იურისტებმა იმსჯელეს.

2010 წლის 3 ნოემბერს გამართული დისკუსია ბიოლის ოფისში სწორედ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვას შეეხებოდა. დისკუსიის ძირითად მომხსენებლებს წარმოადგენდნენ: გიგლა აგულაშვილი — ექსპერტი საქართველოს იურისტთა ასოციაციიდან; ოთარ კახიძე — იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი; კახა წიქარიშვილი — სასამართლო ადმინისტრირების და მენეჯმენტის რეფორმის პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე და ავტორი წიგნისა „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლეთ სისტემების მიმოხილვა)“; ვახტანგ ხმალაძე — ექსპერტი, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი და გიორგი შავლიაშვილი — საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დისკუსიის მოდერატორს ამჯერადაც სამართლის პროფესორი და

<sup>48</sup> ხელმისაწვდ. <https://ge.boell.org>

უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძე წარმოადგენდა. მომხსენებელმა გიგლა აგულაშვილმა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დემოკრატიის გზაზე და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით წინგადადგმულ ნაბიჯად შეათვასა. როგორც მან აღნიშნა, ნაფიცო მსაჯულები არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ „გააკონტროლონ ხელისუფლება და უარი თქვან უსამართლო კანონის აღსრულებაზე“<sup>49</sup>.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა ოთარ კახიძემ ყურადღება გაამახვილა ახალი კანონის იმ პროექტზე, რომელიც საზოგადოების მონაწილეობასა და ჩართულობას გულისხმობს მართლმსაჯულების პროცესში: „იმას, თუ რა არის სამართლიანი ან უსამართლო, განსაზღვრავს თავად საზოგადოება. საზოგადოება აფასებს, რამდენად სამართლიანია კანონი, რამდენად სამართლიანი იყო სასამართლო ამ კანონის შეფარდებისას ან გამოყენებისას“<sup>50</sup>.

კითხვაზე — თუ რატომ გახდა საქართველოში აუცილებელი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, დისკუსიაზე მოწვეულმა მომხსენებელმა ხაზი გაუსვეს რამდენიმე ასპექტს: პირველი, რომ ეს ინსტიტუტი ხელს უწყობს შეჭიბრებითობის პროცესის დამკვიდრებას; მეორე, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება არის საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში; მესამე საკითხია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საზოგადოების მხრიდან პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე, ხოლო მეოთხე მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის მიმართ და კანონის უზენაესობის მიმართ რწმენის ამაღლება საზოგადოებაში.<sup>51</sup>

2010 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველოს მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც მიზნად ისახავს ყველა მოქალაქის პირდაპირ, უშუალო მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში. 12 ნაფიცო მსაჯულისაგან შემდგარი სასამართლო, რომლის განსჯადობაც მოიცავს მხოლოდ შერჩეულ

---

<sup>49</sup> ბროშურა საქართველოს სასამართლო სისტემის გადახალისება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მცდელობა თუ მართლმსაჯულების გამოსწორება, 2006-2007 წ. განმს. რეფორმები, 2008 წ.

<http://www.library.court.ge>

<sup>50</sup> იქვე

<sup>51</sup> იქვე

დანამაულებს (დადგენილია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციის გავრცელება საქართველოს სსკ 109-ე მუხლის საქმეებზე — მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში — ისიც მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში), გადაწყვეტს პირის ბრალეულობის საკითხს. პირველად 2004 წლის 6 თებერვალს კონსტიტუციური ცვლილებებით დამკვიდრდა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა მართლმსაჯულების სისტემაში. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლს დაემატა მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად, „საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით“.

თანამედროვე ქართული სინამდვილიდან გამომდინარე, უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და თავისთავად მეტად აქტუალურია ამ ინსტიტუტის ირგვლივ მსჯელობა. აღნიშნული საკანონმდებლო ნოვაცია საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს შეჯიბრებითი და უფრო დემოკრატიული სისხლის სამართლის სისტემის შექმნას.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მიმართ საქართველოს იურისტა წრეებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრებით, უნდობლობა უცოდინარობით არის გამოწვეული. კერძოდ, საზოგადოება არ არის გათვითცნობიერებული ამ ინსტიტუტის შესახებ. სკეპტიკურად განწყობილი ნაწილი კი თვლის, რომ ქართული საზოგადოება არ არის მზად მსაჯულთა სასამართლოსათვის, არ გააჩნია ასეთი სახის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ტრადიცია<sup>52</sup>.

ამ სისტემის შემოღების ძირითადი მიზანი ისაა, რომ მართლმსაჯულება უფრო დემოკრატიული გახდეს და საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ გაიზარდოს. ბუნებრივია, ნდობის ამაღლების სხვა გზებიც არსებობს, მაგრამ ნაფიც

---

<sup>52</sup> ბროშურა საქართველოს სასამართლო სისტემის გადახალისება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მცდელობა თუ მართლმსაჯულების გამოსწორება, 2006-2007 წ. განმს. რეფორმები, 2008 წ. <http://www.library.court.ge>



მსაჯულთა ინსტიტუტი ყველაზე სწრაფი და ეფექტურია, რადგან მოქალაქეები უშუალოდ ერთვებიან მართლმსაჯულების აღსრულებაში.

თავისუფლება (პოლიტიკური, სოციალური, პიროვნული), თანასწორობა (კანონის წინაშე) სამართლიანობა, ძალადობის არარსებობა, ხალხის სუვერენობა — საყოველთაო ღირებულებებია. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი თავიდანვე წარმოიშვა როგორც დემოკრატიული ინსტიტუტი და ევოლუციას განიცდიდა საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების პარალელურად. დემოკრატიის ცნებაში იგულისხმება არა მარტო მმართველობის გარკვეული სისტემა, არამედ სხვა სპეციფიკური საზოგადოებრივი ურთიერთობებიც. მაგალითად, ამერიკელები ამბობენ, რომ მათ ქვეყანას გააჩნია არა მარტო დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების ერთობლიობა, არამედ დემოკრატიული საზოგადოებაც.

დემოკრატიული საზოგადოება ნიშნავს საზოგადოებას კლასობრივი სხვაობების გარეშე, საზოგადოებას, რომელიც უახლოვდება ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების არსებობის იდეალურ მოდელს. დემოკრატია ისეთი ურთიერთობის ერთობლიობაა, რომელთა ფორმირება ხდება მხარეთა ნების თავისუფალი გამთლიანების, თანხმობისა და თანასწორობის საფუძველზე.

დემოკრატია ცივილიზაციის ერთ-ერთი უდიდესი ფასეულობაა, საზოგადოებრივი მოწყობის იდეალია. დემოკრატია ნებისმიერ ადამიანს აძლევს თავისუფლებას აუცილებელი ზომით. სამართლებრივ ასპექტში, დემოკრატია ეყრდნობა სამართლებრივი ნორმების სისტემას, რომელიც აგებულია კანონის უზენაესობის, ხელისუფლებათა გამიჯვნის და ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის პრინციპებზე. დემოკრატიული საზოგადოება გულისხმობს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არსებობას, რომელიც კანონიერებაზე დაფუძნებული და პოლიტიკურ და იდეოლოგიურ გავლენას არ ექვემდებარება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადამიანის უფლებები და დემოკრატია „ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანმამტკიცებელია“. ადამიანის უფლებების დაცვა და კანონიერების უზრუნველყოფა არა თუ განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც კი, ყველაზე კარგად დემოკრატიული პრინციპების დაყოფის ხარჯზე ხდება. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა აუცილებელია თავად დემოკრატიის

არსებობისათვის. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები აუცილებელია მოსახლეობის მიერ მთავრობის გასაკონტროლებლად — „მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმოებაში როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით“. მოქმედი დემოკრატიული ინსტიტუტების პრაქტიკა ხელს უწყობს დემოკრატიულ კულტურის განვითარებას, იმ მოქალაქეების ჩვევებისა და გამოცდილების წყალობით, რომლებსაც ისინი ღებულობენ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის დროს.<sup>53</sup>

დღესდღეობით, სულ უფრო მეტი და მეტი ქვეყანა ირჩევს დემოკრატიზაციის სხვადასხვა სტრატეგიებს და ახორციელებს რეფორმებს თავიანთი სამართლებრივი სისტემისათვის. დემოკრატიზაცია ისეთი ინსტიტუტების ჩასახვის, დამკვიდრების, სრულყოფის და განვითარების პროცესია, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმირებას თითოეული პიროვნების ნების თავისუფალი გამოვლენის, თანხმობისა და თანასწორობის საფუძველზე. ესაა პროცესი, რომლის დროსაც იზრდება ადამიანთა დამოუკიდებელი, თავისუფალი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სუსტდება მათზე გარეგანი ზემოქმედება, მალღდება რიგითი ადამიანების ღირსების პატივისცემა და მათი დაცულობის ხარისხი. ცხოვრების დემოკრატიზაცია გულისხმობს ყველა მოქალაქის არსებობის სოციალური პირობების გათანასწორებას, მოთხოვნილებებისა და ინტერესების რეალიზაციისათვის თანაბარი პირობების შექმნას, განსხვავებით ანტიკური დემოკრატიისაგან, რომელიც უმრავლესობას დესპოტიზმს უწოდებდნენ. დემოკრატიზაციის პროცესში ბევრი ქვეყანა განიხილავდა და განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემის შემოღების საკითხს. რამდენად ეფექტურად „იმუშავებს“ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ამა თუ იმ ქვეყანაში, დამოუკიდებელია რიგ ფაქტორთა ერთობლიობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჟიურის შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული სასამართლო ეფექტი, არავინ უნდა იფიქროს, რომ ჟიურის შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული სასამართლო ეფექტი, არავინ უნდა იფიქროს, რომ სისხლის სამართლის ჟიური არის დემოკრატიის აუცილებელი მახასიათებელი თანამედროვე გლობალურ საზოგადოებაში. არაპროფესიონალების მიერ ბრალდებულთა გასამართლება გარკვეული ფორმით უდავოდ არის დომინანტი

<sup>53</sup>უორჟოლიანი გ., დემოკრატია: იდეალი და რეალობა, თბ., 1995 წ. 5გვ.

მსოფლიოს დემოკრატიებს შორის, მაგრამ „თანასწორთა სასამართლოს“ მოდელი არ არის აუცილებლად დემოკრატიის ტრიუმფი. შესაძლოა, ნორმატიულად კარგი გამართლება არსებობდეს უიურის ხელის შეწყობისათვის, მაგრამ ეს არ არის დემოკრატიის მიღწევების აუცილებელი ინდიკატორი.

ამასთან, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება გულისხმობს იმ საზოგადოების კულტურული განვითარების შესაფერის დონეს, რომელშიც ამ სასამართლომ უნდა იფუნქციონიროს. იგი გულისხმობს საზოგადოების მართლშეგნების სათანადო დონესაც, რადგან მსაჯულები სწორედ ამ საზოგადოებიდან არიან შერჩეულნი. ეს სისტემა ეფუძნება რწმენას, რომ საზოგადოებას კარგად აქვს გათავისებული მართლმსაჯულების არსი და მას შეუძლია და ვალდებულია კიდევ თავისი თანამემამულე დაიცვას სახელმწიფოს უსამართლო ძალადობისაგან.

ნებისმიერი საზოგადოებისათვის იმანენტურად დამახასიათებელია კონფლიქტი, ინტერესთა დაპირისპირება, დავების არსებობა. დანაშაულიც კონფლიქტისა და დაპირისპირების გამოხატულების ერთ-ერთი ფორმაა. დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების სოციალური მნიშვნელობა ვლინდება იურიდიული კონფლიქტების მოგვარების დროს სამართლის ნაციონალიზაციის უზრუნველყოფაში, მართლმსაჯულების უზენაესი მიზანი არის ძალადობის იდეის შეცვლა სამართლის იდეით<sup>54</sup>.

დემოკრატიის ძირითადი იდეაა, რომ სახელმწიფოს ყოველგვარი სახის საქმიანობა უნდა ეყრდნობოდეს ხალხის ნებას და მის მიერ უნდა იყოს ლეგიტიმირებული. დემოკრატია კოლექტიურ გადანწყვეტილებათა სფეროა. იგი განასახიერებს იდეალურ სისტემას, სადაც გადანწყვეტილებებს, რომლებიც მთელ საზოგადოებას ეხება, ყველა მისი წევრი იღებს, თანაც ყოველ მათგანს თანაბარი უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ საკითხის გადანწყვეტაში.

დემოკრატია ორი პრინციპის დაცვას მოითხოვს: საზოგადოებრივ კონტროლს კოლექტიურ გადანწყვეტილებებზე და თანასწორუფლებიანობაზე კონტროლის განხორციელებას. იმისდა მიხედვით, თუ რამდენადაა დაცული ეს პრინციპები გადანწყვეტილების მიღების დროს, ესა თუ ის საზოგადოება შეიძლება ჩაითვალოს

<sup>54</sup> ხელმისაწვდ. <http://www.library.court.ge>

დემოკრატიულად ან არადემოკრატიულად. საზოგადოების დემოკრატიული მოწყობის დროს ის უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქმიანობით, საცხოვრებლით, კვებით, ცხოვრების ღირსეული დონით, განათლებით და ა.შ. სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლად ითვლება. საზოგადოება, რომელშიც ბევრი შიმშილობს, მხოლოდ ოდნავ შეიძლება მიუახლოვდეს დემოკრატიას. ადამიანის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნები დაკმაყოფილება, რაც მისი სიკვდილისაგან გადარჩენას უზრუნველყოფს — დემოკრატის აუცილებელი პირობაა. შესაბამისად, ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობა მეტყველებს და ამავდროულად განაპირობებს კიდევ დემოკრატის ხარისხს სახელმწიფოში. ნათეს მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის დემოკრატიულობის ხარისხი პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაშია ქვეყანაში არსებულ დემოკრატის ხარისხთან. თუ სახელმწიფო რეალურად არ არის დემოკრატიული, ნებისმიერი დემოკრატიული ინსტიტუტის არსებობას ექნება მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ხასიათი. ასეთ შემთხვევაში სამართლიანობისათვის ბძოლა ხდება გმირობის ტოლფასი.<sup>55</sup>

ნათეს მსაჯულთა სასამართლო უაღრესად წინააღმდეგობრივი ინსტიტუტია. ალბათ ამიტომაც აღნიშნავს ჯეფრი აბრამსონი თავის ნაშრომში („ჩვენ, ნათესები“), რომ „ნათეს მსაჯულთა სასამართლო დემოკრატის ყველაზე უკეთესი და ამავდროულად ყველაზე უარესი მონაპოვარია“ და ამის მაგალითად მოჰყავს ისტორიულად ცნობილი ვერდიქტები, რომლებიც დღემდე გვაოცებს. ნათესმა მსაჯულებმა ათენში სოკრატეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი რელიგიური დანაშაულისათვის; ინგლისში ციხეში წასვლა ამჯობინეს უილიან პენის დადანაშაულებას; სეილემში ქალები დაადანაშაულებს გრძნეულებაში; ამერიკაში კი წინააღმდეგობა გაუწიეს „კუდიანების“ (პროგრესულად განწყობილი ადამიანები) დევნას, სამხრეთ ამერიკაში გაათავისუფლეს ვეჭილები, რომელთაც ლინჩის წესით გაასამართლეს აფრიკულ-ამერიკელები, ჩრდილოეთში კი მათ შეიფარეს გაქცეული მონები და აბოლუციონისტები (ისინი მიზნად ისახავდნენ შავკანიანების მონობის გაუქმებას აშშ-ში).

---

<sup>55</sup>უორჟოლიანი გ., დემოკრატია: იდეალი და რეალობა, თბ., 1995 წ. 5გვ.

საქმე გვაქვს ორ უკიდურესობასთან, რაც მცდარობის წყაროა. ჭეშმარიტება, როგორც იტყვიან, „სადღაც შუაშია“, მაგრამ სად არის ეს ოქროს შუალედი? მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეუძლია ჰქონდეს გარკვეული სასარგებლო ეფექტი, არაფერია უნდა იფიქროს, რომ ნაფიც მსაჯულთა უიური არის დემოკრატიის აუცილებელი მახასიათებელი თანამედროვე გლობალურ საზოგადოებაში. არაპროფესიონალთა მიერ ბრალდებულთა გასამარლება გარკვეული ფორმით უდავოდ არის დომინანტი მსოფლიოს დემოკრატიებს შორის, მაგრამ „თანასწორთა სასამართლოს“ მოდელი არ არის აუცილებლად დემოკრატიის ტრიუმფი. შესაძლოა ნორმატიულად კარგი გამართლება არსებობდეს უიურის ხელის შეწყობისათვის, მაგრამ ეს არ არის დემოკრატიის მიღწევების აუცილებელი ინდიკატორი<sup>56</sup>.

„ერისკაცების“ მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, მიზნად ისახავს სამოქალაქო უფლებების დაცვას პროფესიონალი მოსამართლისაგან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებას. უიური ისტორიულად განიხილებოდა როგორც სამოქალაქო უფლებების დაცვის გარანტია. რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებას, ბევრი სირთულე შეიძლება ახლდეს ცხოვრების იმ სტილის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენთან არსებობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინსტიტუტი უნდა დამკვიდრდეს არა რადიკალურად და ფართოდ, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი დემოკრატიული ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხზე, სადაც ის მოქმედებს. საქართველოსათვის ისეთი ქვეყნების მაგალითად გამოყენება, როგორცაა: ინგლისი, ამერიკა და სხვა ვერ შეგვიქმნის ნათელ წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, ყველა ზემოხსენებული სახელმწიფო განვითარებულ სახელმწიფოთა რიცხვს განეკუთვნება. შესაბამისად, მათი ცხოვრების სტანდარტი და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება სათანადო ნიადაგს ქმნის მსგავსი ინსტიტუტის არსებობისათვის<sup>57</sup>.

<sup>56</sup> ხელმისაწვდ. <http://www.library.court.ge>

<sup>57</sup> იქვე

### 3.1. ნაფიცო მსაჯული

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე პუნქტის შესაბამისად პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში, თუ:

ა) საქართველოს მოქალაქეთა რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულია, როგორც 18 წელს გადაცილებული პირი;

ბ) იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

გ) ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი;

დ) შეზღუდული არა აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს არ შეუშლის მის მიერ ნაფიცო მსაჯულის მოვალეობის შესრულებას.<sup>58</sup>

პირი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად, თუ არსებობს სსკ დადგენილი ნაფიცო მსაჯულის აცილების რომელიმე საფუძველი ან/და:

ა) იგი სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირია;

ბ) იგი გამომძიებელია;

გ) იგი პოლიციელია;

დ) იგი ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;

ე) იგი სასულიერო პირია;

ვ) იგი აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა;

ზ) იგი ბრალდებულია;

თ) იგი ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელ დადებული პირია;

<sup>58</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2018 წ. 9. 10.ბოლო რედაქციით [http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali\\_sisxlis\\_samartlis\\_saproceso\\_kodeksi.pdf](http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali_sisxlis_samartlis_saproceso_kodeksi.pdf) მოძიებულია 15.03.2019

ი) მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში ამკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე;

კ) იგი ფსიქოლოგია;

ლ) იგი ფსიქიატრია;

მ) იგი იურისტია.

პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე;

ა) თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული;

ბ) თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს;

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

დ) თუ ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ;

ე) თუ 70 წელს გადაცილებულია.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე მოსამართლე 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთანი სიიდან, მხარეთა მოსაზრების მოსმენის შემდეგ, შემთხვევით შერჩევის პრინციპად ადგენს ანფიცი მსაჯულების კანდიდატთა სიას არა უმეტეს 100 პირის შემადგენლობით. ნაფიცი მსაჯულების კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე განსაზღვრულ ვადაში საცხოვრებელი ადგილის მისამართზე ეგზავნებათ მოსამართლის მიერ დამტკიცებული კითხვარი. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია უპასუხოს კითხვებს კითხვარში მითითებულ ვადაში. კითხვარს მოსამართლე ამტკიცებს მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე<sup>59</sup>. სასამართლო ვალდებულია შეატყობინოს მხარეებს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ადგილისა და დროის შესახებ. მხარეებს უფლება აქვთ, დაესწრონ მსაჯულების შერჩევის პროცედურას. მხარეს უფლება აქვს, ერთჯერადად, 24 საათის განმავლობაში გაასაჩივროს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თავმჯდომარის უკანონო გადაწყვეტილება ან მოქმედება. საჩივარი შეიტანება საქმის განმხილველი

<sup>59</sup> ხელმისაწვდ. <http://edu.gba.ge/>

სასამართლოს თავმჯდომარესთან, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით წყვეტს მას შეტანიდან 24 საათის განმავლობაში. შერჩეულ ნაფიც მსაჯულების კანდიდატთა სიაში მიეთითება პირის გვარი და სახელი. სიას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე. ნაფიცი მსაჯულების კანდიდატთა სიის ასლები გადაეცემა მხარეებს. ნაფიც მსაჯულებს ან კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე ეგზავნებათ უწყება, სადაც მითითებულია სხდომის დაწყების დრო, ადგილი და გამოცხადების სავალდებულობა. ნაფიცი მსაჯულის კანდიდატი ვალდებულია სსს კოდექსით განსაზღვრული აცილების საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში ეს აცნობოს სასამართლოს უწყების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში. სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას, რის შემდეგაც სხდომის მდივანი აცხადებს მსაჯულობის კანდიდატთა ვინაობას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლოში მსაჯულების 50-ზე ნაკლები კანდიდატი გამოცხადდება, მოსამართლე უფლებამოსილია დაიწყოს სხდომა და მსაჯულთა შერჩევის პროცედურა<sup>60</sup>.

ნაფიც მსაჯულთა სხდომის თავმჯდომარე:

ა) წარადგენს საკუთარ თავს და სხდომის მდივანს;

ბ) მიმართავს მსაჯულობის კანდიდატებს და განუმარტავს მათ მონვევის მიზანს;

გ) აცხადებს, რომელი საქმე განიხილება და მსაჯულობის კანდიდატებს გააცნობს წარმოდგენილი მასალების შინაარსს;

დ) მსაჯულობის კანდიდატებს განუმარტავს კანონს, რომელიც გამოყენებული იქნება საქმის განხილვისას;

ე) აცხადებს საქმის განხილვაში მონაწილე მხარეებს;

ვ) განსაზღვრავს სხდომის ხანგრძლივობას და სხვა პროცედურულ საკითხებს.

სასამართლო მსაჯულების კანდიდატებს მიანვდის მხარეთა მონაწილეობით მომზადებულ განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე.

მხარე უფლებამოსილია დააყენოს კანდიდატის აცილების შესახებ შუამდგომლობა. აცილების უფლებას პირველად ახორციელებს ბრალდების მხარე, ხოლო შემდეგ — მეორე მხარე. მოსამართლე ამონებს ყველა გარემოებას, რომელიც შეიძლება გახდეს მსაჯულობის კანდიდატის აცილების საფუძველი და

<sup>60</sup> ხელმისაწვდ. <http://cerber1.blogspot.com>



მხარეებს საშუალებას აძლევს შეკითხვები დაუსვან მსაჯულობის კანდიდატებს და წარმოადგინოს დამატებითი მასალები აცილების თაობაზე. მოსამართლე უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეებს მისთვის წინასწარ იმ შეკითხვების წარდგენა, რომელთა დასმასაც მსაჯულობის კანდიდატებისთვის აპირებენ; ეს არ ზღუდავს მხარეებს, რომ დასვან დამაზუსტებელი კითხვები<sup>61</sup>. მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია სწორი და ამომწურავი პასუხები გასცეს მისთვის დასმულ შეკითხვებს, წარმოადგინოს სხვა აუცილებელი ინფორმაცია მისი პიროვნებისა და განსახილველი საქმის მონაწილეებთან მისი ურთიერთობის თაობაზე, აგრეთვე ყველა იმ გარემიზების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად განხილვაში. მსაჯულობის კანდიდატისათვის დასმული შეკითხვები არ უნდა ხელყოფდეს მის პერსონალურ მონაცემებს, პროფესიულ ანდა კომერციულ საიდუმლოებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებისათვის. მსაჯულობის კანდიდატს აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება მოეთხოვოს მხოლოდ მხარის დასაზუსტებელი მოთხოვნის არსებობისას, თუ ამ ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მის ინტერესებს, მსაჯულობის კანდიდატი ინფორმაციას აწვდის მხოლოდ უშუალოდ სხდომის თავმჯდომარეს. დაუზუსტებელი აცილება არ შეიძლება იგვარად იყოს გამოყენებული, რომ გახდეს მსახულობის კანდიდატთა დისკრიმინაცია სახის, კანის ფერის, სქესის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულებების, რაიმე გაერთიანების წევრობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე მსაჯულობის კანდიდატს შეუძლია მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ და მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომელიც მას ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების განხორციელებაში. თვითაცილება დასაბუთებული უნდა იყოს.

---

<sup>61</sup> ხელმისაწვდ. <http://www.ilo.org>

მხარეებს უფლება აქვთ, გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება მსაჯულობის კანდიდატის თვითაცილებისადმი<sup>62</sup>.

აცილებისა და თვითაცილების შესახებ შუამდგომლობებს მოსამართლე განიხილავს საჯაროდ და გამოაქვს დასაზუსტებელი განჩინება. აცილებულმა მსაჯულობის კანდიდატმა უნდა დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი. თუ თვითაცილებისა და აცილების შემდეგ მსაჯულობის კანდიდატთა რაოდენობა სიაში 14-ზე ნაკლებია, მოსამართლე გადადებს სხდომას არა უმეტეს 10 დღით და ამ თვით დადგენილი წესით მოიწვევს დამატებით არა უმეტეს 30 კანდიდატს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის სსს კოდექსით დადგენილ რაოდენობამდე შესავსებად<sup>63</sup>. თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას, მხარეს 12 დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლება აქვს. დანარჩენ შემთხვევებში მხარე უფლებამოსილია განაცხადოს 6 დაუსაბუთებელი აცილება. თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულია, თითოეულ მათგანს დამატებით 3 კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლება ეძლევა. იგივე უფლება ეძლევა ბრალდების მხარეს. თუ რომელიმე ბრალდებული სრულად არ გამოიყენებს აცილების განცხადების საკუთარ კვოტას, მისი გამოყენების უფლება ენიჭება იმავე საქმეში სხვა ბრალდებულს. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარე სარგებლობს იმდენივე დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლებით, რამდენითაც ისარგებლა ყველა ბრალდებულმა საერთო ჯამში<sup>64</sup>.

აცილების შემდეგ დარჩენილ მსაჯულობის კანდიდატთან თორმეტს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს ნაფიც მსაჯულად, ხოლო ორი საქმის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს, როგორც სათადარიგო მსაჯული. საქმის სირთულიდან გამომდინარე, მოსამართლე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მეტი სათადარიგო მსაჯულის დამტკიცების შესახებ. ეს გადაწყვეტილება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. სათადარიგო მსაჯული ესწრება სასამართლო სხდომას და სასამართლო თათბირს, სათადარიგო მსაჯულს უფლება არა აქვს, გამოხატოს

---

<sup>62</sup> ხელმისაწვდ. <http://www.ilo.org>

<sup>63</sup> იქვე

<sup>64</sup> ხელმისაწვდ. <http://www.ilo.org>

საკუთარი აზრი, გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულებზე ან მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს საქმის განხილვის დღეს, რომელიც უნდა იყოს არა უგვიანეს შერჩევის პროცედურის დასრულებიდან მესამე დღისა<sup>65</sup>.

### 3.2. ნაფიც მსაჯულთა უფლება-მოვალეობები

ნაფიც მსაჯულს უფლება აქვს, თავის წერილობით მისამართზე მიიღოს:

ა) სასამართლოსაგან განმარტება გამოსაყენებელი კანონის თაობაზე;

ბ) წინასწარი ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ;

გ) სასამართლო სხდომისდროს დამატებითი განმარტება: სხდომის თავმჯდომარისაგან — კანონის შესახებ, მოწმეთაგან ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მხარეთაგან — დასკვნითი სიტყვების შესახებ;

დ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის დროს დამატებითი განმარტება მოსამართლისაგან კანონის შესახებ. მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს სხდომის მიმდინარეობისას ჩანაწერების გაკეთების უფლებას, ნაფიც მსაჯულებს სათათბირო ოთახში გასვლამდე ეძლევათ სასამართლო სხდომის ოქმი, გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც ეხება დაუშვებელ მტკიცებულებებს<sup>66</sup>.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულია ნაფიც მსაჯულთა მოვალეობანი. ესენია: 1. ნაფიც და სათადარიგო მსაჯულებს ეკრძალებათ:

ა) სხდომის მიმდინარეობისას სასამართლო დარბაზის დატოვება;

ბ) ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;

<sup>65</sup> იქვე

<sup>66</sup> ხელმისაწვდ. <http://www.ilo.org>

გ) განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა სხვა პირებთან ურთიერთობა;

დ) განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ;

ე) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოებების დარღვევა;

ვ) სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევა და სხდომის თავმჯდომარის შესაბამისი მითითებების შეუსრულებლობა<sup>67</sup>.

ნაფიცი მსაჯული ვალდებულია დაესწროს განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო სხდომებს და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს.

მსაჯულის მიერ სსსკ განსაზღვრული საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას. სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს ნაფიც მსაჯულებს პასუხისმგებობის შესაძლო ზომების შესახებ, აგრეთვე მათ განუმარტავს, რომ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობებით გაათავისუფლებს მათ ნაფიც მსაჯულთა მოვალეობის შესრულებისაგან<sup>68</sup>.

ნაფიც მსაჯულთა სოციალური გარანტიებით უფლება აქვთ დროულად მიიღონ სახელმწიფოსაგან ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან. დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. დასაქმებულ პირს ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ანაზღაურება. სასამართლო ვალდებულია ინდივიდუალურად გაითვალისწინოს ნაფიცი მსაჯულის კანონიერი ინტერესები. სასამართლო თავისუფლდება ამ ვალდებულებებისაგან, თუ ნაფიცი მსაჯულის კანონიერი ინტერესების

<sup>67</sup> სსს კოდექსი, 2019, 236-ე მუხლი, <http://is.ge/images/File/sisxlis1.pdf>

<sup>68</sup> ხელმისაწვდ. <http://is.ge/>

დაკმაყოფილებით დაცული სიკეთე ნაკლებია, ვიდრე მართლმსაჯულებისათვის ან მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი. ასეთ შემთხვევაში პირი არ უნდა გათავისუფლდეს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისაგან<sup>69</sup>.

### 3.3. ნაფიც მსაჯულთა დადებითი და უარყოფითი მხარეები

დემოკრატიული სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემის ზედაპირული გაცნობა კი ცხადყოფს, რომ აღიარებული დემოკრატიების ნახევარზე მეტს ნაფიც მსაჯულთა სისტემა არა აქვს. დღევანდელი ვითარებით, სასამართლო პროცესში ნაფიცი მსაჯულები ჩაერთვებიან მხოლოდ დამამძიმებელი გარემოებებით განზრახ მკვლელობის საქმის განხილვისას, თანაც მხოლოდ თბილისში. ამ სიახლს დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს. დადებითია ის, რომ გადანწყვეტილების მიღების პროცესში ხალხის მონაწილეობა იზრდება, სავარაუდოდ, გაიზრდება ყურადღება ასეთი საქმეების მიმართ, რაც ასევე პოზიტიური მოვლენაა. ამ ინიციატივას აქვს უამრავი უარყოფითი მხარეც. უპირველესად ის, რომ მტკიცებულებების დაშვებას სასამართლოზე წყვეტს მოსამართლე, არადა, ამ მტკიცებულებების მოსმენისა და განხილვის შედეგად უნდა გამოითანონ მსაჯულებმა ვერდიქტი. ეს ნიშნავს იმას, რომ ნაფიც მსაჯულებს მოასმენინებენ და აჩვენებენ მხოლოდ იმას, რასაც მოსამართლე და პროკურორი მიიჩნევენ საჭიროდ, რაც ნაფიც მსაჯულებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. მინუსია ისიც, რომ ეს გააძვირებს სამართალწარმოებას<sup>70</sup>.

ამასთანავე, პასუხისმგებლობის ტვირთი ხელისუფლების დამოუკიდებელი განმტოებიდან გადადის ხალხზე, რაც აჩენს იმის საფრთხეს, რომ პროკურატურა და მოსამართლე ბოლოს იტყვიან, ხალხმა მიუსაჯა და ხალხს მოსთხოვეთ პასუხიო. ბოლო ხანს მსოფლიოში მიიჩნევენ, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ვეღარ პასუხობს თანამედროვე მართლმსაჯულების ინტერესებს, რამდენიმე საქმე უკვე განიხილა ადამიანის უფლებების დაცვის ევროპის სასამართლომ, სადაც მიიჩნევს, რომ ეს

<sup>69</sup> ხელმისაწვდ. <http://www.ilo.org>

<sup>70</sup> ხელმისაწვდ. <http://www.library.court.ge>

ინსტიტუტი ეწინააღმდეგება ევროპის კონვენციის მოთხოვნებსაც კი. უახლოეს მომავალში ევროპის წევრ ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შეიძლება კანონგარეშე გამოცხადდეს. ევროპაში ფიქრობენ ამ ინსტიტუტის გაუქმებაზე და არა შემოღებაზე<sup>71</sup>.

ნაფიც მსაჯულთა დადებითი მხარე ის არის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამკვიდრებს უფრო პროგრესულ სისტემას — შეჭიბვებით პროცესს, მაქსიმალურად ითვალისწინებს მხარეთა თანასწორობას, ბრალდებულს აძლევს თავის დაცვის უფლების სრულიად რეალიზაციის საშუალებას. როდესაც მოსამართლეს უხდება არაპროპულარული გადაწყვეტილების გამოტანა, იგი ექცევა საზოგადოების ან თანამდებობის პირების მხრიდან კრიტიკის ქარცეცხლში. ნაფიცი მსაჯულები კი საქმის დამთავრების შემდეგ ინარჩუნებენ ანონიმურობას და ნაკლებად ემუქრებათ აღნიშნული საფრთხე. ისინი არანაირად არ არიან დაკავშირებულნი სახელმწიფოსთან და არა აქვთ პოლიტიკური ამბიციები, რაც ხაზს უსვამს მათ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ხასიათს.

ნეგატიურ ასპექტში მიუთითებენ შემდეგზე: ნაფიც მსაჯულებს ანუ „ქუჩიდან მოყვანილ ადამიანებს“ არ გააჩნიათ იურიდიული განათლება, რაც აუცილებელია მართლმსაჯულების განსახორციელებლად — წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია ზერელობა და დილეტანტიზმი. ნაფიც მსაჯულთა „ხარისხიანი“ უიურის ფორმირების, მისი ფუნქციონირების ხელშეწყობის ურთულესი პროცედურებიც კი ვერ უზრუნველყოფენ ნაფიც მსაჯულთა სათანადო კონტიგენტს შერჩევას, შემდგომში კი მათ დაცვას მოსამართლის, დაინტერესებულ მხარეთა, სხვა პირთა თუ მედიის ზეგავლენისაგან, ანუ მათ მიუკერძოებლობას და გამოტანილი ვერდიქტის ობიექტურობა-სამართლიანობას.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უაღრესად წინააღმდეგობრივი ინსტიტუტია. ალბათ, ამიტომაც აღნიშნავს ჯეფსი აბრამსონი თავის ნაშრომში („ჩვენ, ნაფიცები“), რომ „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დემოკრატიის ყველაზე უკეთესი და ამავდროულად ყველაზე უარესი მონაპოვარია“ და ამის მაგალითად მოჰყავს ისტორიულად ცნობილი ვერდიქტები, რომლებიც დღემდე გვაოცებს: ნაფიცმა

---

<sup>71</sup> იქვე

მსაჯულებმა ათენში სოკრატეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი რელიგიური დანაშაულისათვის; ინგლისში ციხეში წასვლა ამჯობინეს უილიამ პენის დადანაშაულებას, ამერიკაში კი წინააღმდეგობა გაუწიას „კუდიანების“ ღევნას<sup>72</sup>.

საქმე გვაქვს ორ უკიდურესობასთან, რაც მცდარობის წყაროა. ჭეშმარიტება, როგორც იტყვიან, „სადღაც შუაშია“, მაგრამ სად არის ეს ოქროს შუალედი? მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული სასარგებლო ეფექტი, არაფინ უნდა იფიქროს, რომ ნაფიც მსაჯულთა უიური არის დემოკრატიის აუცილებელი მახასიათებელი თანამედროვე გლობალურ საზოგადოებაში. არაპროფესიონალთა მიერ ბრალდებულთა გასამართლება გარკვეული ფორმით უდავოდ არის დომინანტი მსოფლიოს დემოკრატებს შორის. მაგრამ „თანასწორთა სასამართლოს“ მოდელი არ არის აუცილებლად დემოკრატიის ტრიუმფი. შესაძლოა ნორმალურად კარგი გამართლება არსებობს უიურის ხელის შეწყობისათვის, მაგრამ ეს არ არის დემოკრატიის მიღწევების აუცილებელი ინდიკატორი.

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებას, ბევრი სიახლე შეიძლება ახლდეს ცხოვრების იმ სტილის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენთან არსებობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინსტიტუტი უნდა დამკვიდრდეს არა რადიკალურად და ფართოდ, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია. ნებისმიერი დემოკრატიული ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხზე, სადაც ის მოქმედებს. საქართველოსათვის ისეთი ქვეყნების მაგალითად გამოყენება, როგორცაა: ინგლისი, ამერიკა და სხვა ვერ შეგვიქმნის ნათელ წარმოდგენას ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. ყველა ზემოხსენებული სახელმწიფო განვითარებულ სახელმწიფოთა რიცხვს განეკუთვნება. შესაბამისად, მათი ცხოვრების სტანდარტი და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება სათანადო ნიადაგს ქმნის მსგავსი ინსტიტუტის არსებობისათვის<sup>73</sup>.

<sup>72</sup> ხელმისაწვდ. <http://www.library.court.ge>

<sup>73</sup> ხელმისაწვდ. <http://www.library.court.ge>

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დამკვიდრებისათვის საჭიროა ნიადაგის მომზადება, ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი ამ ინსტიტუტის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის. საზოგადოების წევრები არ უნდა იყვნენ უცხონი კანონებისა და მოსამართლეთა პროფესიული ენის მიმართ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებას საზოგადოება უნდა განიხილავდეს საერთო საქმედ და არა კონკრეტული პიროვნების პრობლემად. იმისათვის, რომ დემოკრატიულმა იდეალმა ხორცი შეისხას პრაქტიკაში, საჭიროა სათანადო მექანიზმის არსებობა, სახელმწიფო სტრუქტურების სახით, რომლებიც მოქმედებენ კანონმდებლობისა და კონსტიტუციის შესაბამისად.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის ერთ-ერთი ინსტიტუტი სხვა მრავალთა შორის, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიის ზრდას. მართალია, ვერცერთი სახელმწიფო ვერ ახდენს, პრაქტიკულად, მთელი სისრულით საზოგადოებრივი კონტროლისა და პოლიტიკური თანასწორობის პრინციპის რეალიზაციას, მაგრამ დემოკრატიზაციის პროცესი უსასრულოა. ყოველი ჯანმრთელი საზოგადოება მიილტვის დემოკრატიზაციის სრულყოფისაკენ, ვინაიდან ეს არის სოციალური პროგრესის ძირითადი ფაქტორი.

საბოლოოდ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ დემოკრატიული სასამართლო სისტემის შენება შესაძლებელია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გარეშე, თუმცა ისიც უდაო ფაქტია, რომ ამ ინსტიტუტმა გაუძლო საუკუნეებს და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და დღესაც ასრულებს მართლმსაჯულების დემოკრატიზაციის პროცესში. ამასთან, ვიზიარებ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამ ინსტიტუტის არსებობის უპირველესი გამართლება სწორედ ის არის, რომ იგი არსებობს.

## დასკვნა

„სასამართლო მეგობრის“ ინსტიტუტს უაღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ის ძირითადად დამახასიათებელია საერთო სამართლის ქვეყნებისათვის, სადაც მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას ხშირად ეყრდნობა პრაქტიკას. ამ შემთხვევაში საჭიროა რთული და საზოგადოებრივი



მნიშვნელობის მქონე საკითხების სიღრმისეული შესწავლა და კომპეტენტურ პირთა მოსაზრების მოსმენა, ვინაიდან გადაწყვეტილება ქმნის პრეცედენტს, ანუ იმას, რაზეც მომავალში სასამართლო თავის გადაწყვეტილებებს აფუძნებს.

ეს ინსტიტუტი ყველაზე ხშირად სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში გამოიყენება. მეგობრად შეიძლება მოგვევლინოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი ან ხელისუფლების წარმომადგენელი. „სასამართლოს მეგობრის“ წერილობითი მოსაზრება შეიძლება შეადგინოს ორგანიზაციამაც. ესენი ხშირად სწორედ ის ორგანიზაციები არიან, რომელთა ინტერესებზეც გარკვეულწილად შეიძლება იმოქმედოს სასამართლო გადაწყვეტილებამ.

საერთაშორისო სასამართლოები და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო აძლევს კერძო პირებს უფლებას დავის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, ზეპირად ან წერილობით, ჩამოაყალიბონ წერილობითი მოსაზრება და წარუდგინონ სასამართლოს — ისეთი ტრიბუნალები, როგორცაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ევროპის საბჭო, ამერიკის ადამიანთა უფლებათა დამცველი სასამართლო არიან მაგალითები იმისა, რომ საერთაშორისო სასამართლოებმა დართეს ნება კერძო პირებს შეითვისონ სასამართლოს მეგობრის ფუნქცია.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლში (სასამართლოს მეგობარი, „Amicus Curiae“), „დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.“

საქართველოში ეს შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ასევე ორგანიზაციები. მაგალითად: იურისტთა ასოციაციები, გაერთიანებები და სხვა. ეს შეიძლება იყოს დამატებითი ინფორმაცია, ფაქტები, ნებისმიერი სახის პროფესიული და პიროვნული მოსაზრებები სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის ვალდებული მხედველობაში მიიღოს ეს წერილობითი მოსაზრება, მაგრამ უფლება აქვს, თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს,

გამოიყენოს „სასამართლოს მეგობრის“ მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელიც შესაძლებელია აისახოს ასევე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო „სასამართლოს მეგობრის“ წერილობით მოსაზრებას საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მას ფულება აქვს, გამოიძახოს იგი სასამართლო სხდომაზე დამატებითი შეკითხვების დასმის მიზნით.

არსებობს პრაქტიკა, სადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან „Amicus Curiae“-ს რანგში თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანო — ვენის კომისია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თხოვნით ვენის კომისიამ წარუდგინა წერილობითი მოსაზრებები პრობლემურ სისხლისსამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით — წერილობითი მოსაზრებები ასახავს ცოდნასა და დაგროვილ გამოცდილებას, რითაც ერთობ ამომწურავ პასუხს სცემს ყველა იმ კითხვას, რომელთა ცოდნაც ეხმარება სასამართლოს სამართლიანი და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

„სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის დამკვიდრება ხელს უწყობს ხალხის ჩართულობას სასამართლო განხილვის პროცესში. ამით კიდევ უფრო გამჭვირვალე ხდება პროცესი და გადაწყვეტილების ხარისხი მაღლდება საზოგადოების თვალში.

## გამოყენებული წყაროები:

### ლიტერატურა:

1. ბითჭემიძე., დემოკრატია: კითხვები და პასუხები, თბ., 1998
2. ბროშურა, საქართველოს სასამართლო სისტემის გადახალისება: ნათეს მსაჯულთა სასამართლო, მეტი დემოკრატია თუ მართლმსაჯულების იმიჯის გამოსწორება, 2006-2007 წლებში განხორციელებული რეფორმები, თბ., „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, 2008
3. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, 2010
4. გაბისონია ი., ნათეს მსაჯულთა, მაგისტრატა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., 2008
5. დ. ბენიძე, შეჯიბრებითობის პრინციპი ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის საპროცესო კანონში, 2009
6. ე. კუსიანი. ნათეს მსაჯულთა სასამართლო - დემოკრატიის იდეალი? 2011
7. იორჰენდი ლ., ნათეს მსაჯულთა სასამართლო, თბ., 2009
8. მ. შეყელაძე, ა. მეძმარიაშვილი, თამარ კაჭარავა, „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი, 2010.
9. მ. ცისკარიძე, თბილისი, „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი, 2010
10. უორუოლიანი მ., დემოკრატია: იდეალი და რეალობა, თბ., 1995
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „სასამართლოს მეგობრის“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი მოსაზრება №466 კონსტიტუციურ სარჩელზე
12. ჭაჭუა ვ., ნათეს მსაჯულთა ინსტიტუტის ნორმირებისა და განვითარების ძირითადი ტენდენციები, 2005, №3-4
13. Строгович М.С. Курс советского уголовного процесса. М.С. Строгович — М, судов во АН СССР, 1958.
14. М. Челцов, Состязательный процесс и право, 1972

## ნორმატიული მასალა:

1. კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, თბილისი, 2012 წ.
2. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, 2001 წ. 23.06 №6 დადგენილება
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 2018 წ.
4. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995 წ.
5. საქართველოს კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ, 2011
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება №466 კონსტიტუციურ სარჩელზე

## ინტერნეტ-რესურსი:

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2018 წ. 9.  
10.[http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali\\_sisxlis\\_samartlis\\_saproceso\\_kodeqsi.pdf](http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali_sisxlis_samartlis_saproceso_kodeqsi.pdf)
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 12. 2018 წ.  
[http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali\\_sisxlis\\_samartlis\\_saproceso\\_kodeqsi.pdf](http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali_sisxlis_samartlis_saproceso_kodeqsi.pdf)
3. კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, თბილისი 2012  
წ.[http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto\\_sasamartloebis\\_sesaxeb\\_saqartvelos\\_kanoni.pdf](http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto_sasamartloebis_sesaxeb_saqartvelos_kanoni.pdf)
4. ხუნდაძე დ., მეჯიბრებიოების პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსში. 2009 წ.  
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0---0---0prompt-10--.-4-----0-0l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-OutfZz-8-10&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASHfdfa9fd570df09c458b7b5.2.4>

5. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 წ.

[http://kutaisiappeal.court.gov.ge/files/upload-file/pdf/saqartvelos\\_konstitucia.pdf.pdf](http://kutaisiappeal.court.gov.ge/files/upload-file/pdf/saqartvelos_konstitucia.pdf.pdf)

6. <http://www.library.court.ge/>

7. <http://edu.gba.ge/>

8. <http://cerber1.blogspot.com/>

9. [http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali\\_sisxlis\\_samartlis\\_saproceso\\_kodeqsi.pdf](http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali_sisxlis_samartlis_saproceso_kodeqsi.pdf)

10. <http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/monitoringis%20angarishi%20kartuli%20saboloo2.pdf>

11. <http://www.is.ge>

12. <http://www.ilo.ge>